Ensuring the effectiveness, transparency and accountability of public administration bodies was also important for the prevention of corruption. In particular, it referred to the separation of functions of various state bodies, improvement of their structures, setting up of professional criteria for employees of state bodies, staff capacity building, introduction of systems to evaluate employees' effectiveness, improvement of systems of pay and social security for state servants, legislative regulation of codes of conduct and conflicts of interests of state and community servants, establishment of public service quality criteria, bringing them in compliance with international standards and best practices, evaluation of the level of citizens' perception of and satisfaction with public service procedures and quality, improvement of procedures for controlling the activities of state bodies, and ensuring effective communication and cooperation between state bodies.

Armenia's priorities in the area of **criminalization** of corruption were: defining the crimes of corruption in compliance with internationally accepted approaches, clarifying the description of certain crimes, regulating issues related to adequate sanctions and statutes of limitations, establishing protection for witnesses, experts, victims and informants, effectiveness of preliminary investigation of corruption crimes, capacity building for law enforcement agencies, and cooperation between law enforcement agencies and civil society institutions.

The comprehensive and effective implementation of the state anti-corruption policy in the Republic of Armenia was ensured by the **Anti-Corruption Council**, established for the purpose of coordinating the activities of state bodies involved

in the fight against corruption, eliminating the causes of corruption and improving the state policy aimed at preventing corruption.

Adjunct to the Anti-Corruption Status, the **Anti-Corruption Strategy Implementation Monitoring Commission** (henceforth referred to as the Commission) has been established. It was chaired by the RA President's Assistant and was comprised of representatives of parliamentary factions and groups, non-governmental organizations and several public administration bodies. The Commission chairperson and members work in the Commission free of charge.

The third and ongoing anti-corruption strategy for 2015-2018

The third anti-corruption strategy for 2015-2018 was approved by the RA Government on September 2015. 4 spheres were given priority by this strategy where anti-corruption measures will be undertaken: healthcare, education, state revenue collection and the police.

On 19 February 2015 the Government of the RA adopted a Decision "On establishing an anti-corruption Council and an Expert Task Force, on approving the composition of the Council and the Procedure for activities of the Anti-corruption Council, the Expert Task Force and the Anti-Corruption Programmes Monitoring Division of the Staff of the Government of the Republic of Armenia". It is believed that the Public Council may become an effective platform for combating efforts of state and non-governmental sectors in the fight against corruption.

The first sitting of the Anti-Corruption Council (hereinafter referred to as "the Council") took place on 28 July 2015. The Anti-Corruption Strategy of the Republic of Armenia and its Implementation Action Plan for 2015-2018, the Draft Agreement on Co-operation between the Government of the Republic of Armenia and the United States Agency for International Development (USAID),

the rules of procedure of the Anti-Corruption Council, the procedure for activities of the Expert Task Force adjunct to the Council, the procedure for selection of experts, the standards for selection thereof were discussed and approved during the sitting.

In the Action Plan for 2015-2018 it is stipulated that the Public Council should regularly consider the implementation process of the Anti-Corruption Strategy of the Government of the Republic of Armenia contributing to the prevention of corruption, raising public awareness of the fight against corruption, making the process more simple and transparent.

Armenia's International Anti-Corruption Commitments

The RA's anti-corruption commitments have been expanding continuously, while the state anti-corruption policy has been tied to the country's sustainable development priorities, becoming one of the main directions for the government's activities in 2008.

In January 2004, Armenia became a member of GRECO, then in June and December of 2004,

respectively, it signed and ratified the Council of Europe's Criminal Law Convention and the Civil Law Convention on corruption. GRECO's first and second phase evaluation report on Armenia was adopted in March 2006.

Armenia is also involved in the "Istanbul Anti-Corruption Action Plan" of the Organization for Economic Cooperation and Development (OECD), designed for 8 former Soviet states. It is designed to improve the anticorruption policies in these countries through the enacting of the recommendations developed by international experts.

Within the framework of the EU European Neighborhood Policy (ENP), the European Union and Armenia ratified an Action Plan in 2006, in which fighting

corruption was included as a priority area. In the Armenia Action Plan, 8 anti-corruption measures were included as special priorities, including adequate investigation and prosecution of corruption crimes, bringing the Criminal Code in compliance with international standards, developing ethics rules for judges and prosecutors, holding officials responsible for wrong declarations of property and income, increasing the judges' salaries, etc. Almost all of the measures described in the Action Plan are also included in the UN conventions, Council of Europe conventions on Criminal Law and Civil Law, and in GRECO and OECD recommendations.

In 2005, the RA signed the United Nations Convention against Corruption (UNCAC), which was ratified by the RA National Assembly in 2006. Armenia is required to submit a self-evaluation report to the UN Office on Drugs and Crime, based on questionnaires prepared by the latter, in the preliminary stage of monitoring the UNCAC.

Conclusion

Despite the existing and past anti-corruption strategies Armenia still remains a corrupted country with high ranks within the corruption assessment index by Transparency International Corruption Perception Index²².

A particular clear feature of corruption in Armenia is the presence of so-called oligarchs who enjoy the fruits of a shadow economy estimated to account for around 35 per cent of Armenia's GDP. Patronage networks and a lack of clear separation between private enterprise and public office act as an important barrier to effective anti-corruption efforts. As a consequence the majority in the society believe that corruption in the public sector is a problem or a serious problem with the judiciary and the civil service perceived to be the sectors most affected by corruption²³. Moreover, despite the adoption of anti-corruption

²² <http://www.transparency.org/cpi2015>

²³ <http://transparency.am/files/publications/1436175393-0-361397.pdf>

strategies people do not have trust in the anti-corruption strategy and in the activities of the Public Council.

The ongoing anti-corruption strategy among other issues includes numerous approaches recommended in the Armenian National Integrity System assessment, particularly with regards to reform of the civil service and executive branch. These include, among other things, prevention of conflicts of interest, a more effective asset declaration system for public servants and high-ranking officials, improvement of the merit-based appointment system for civil servants, and enhanced public sector fiscal transparency and disclosure of non-classified information. However, the results of the strategy and anti-corruption fight are not still tangible.

CONCLUSIONS AND RECOMMENDATIONS

The analysis of the above-presented indicators shows that the implementation of good governance best practice in Armenia still depends on major challenges. One of the key challenges remains the absence of rule of law and accountability with the stable existence of corruption risks in the country which hinders also the economic, political and social development of the state.

Corruption risks and problems related to it are central in governance. Public power is exercised mainly for private gain and the state is overall captured by elites and private interests. Which results in mistrust from public towards the government and its policies. The best example is the ongoing anti-corruption strategy which has not yet resulted in any positive change and the general public does not believe in its effectiveness and realism. Yet the major political oligarchs and corruptionners remain untouched. As a consequence, citizens and small business holders consider corruption a major problem and the public awareness of its negative effects is rising. One of the key challenges, in this regard, is the failure to properly implement country's anti-corruption policies, legislation and institutions. Moreover, corruption crimes need to be properly and effectively investigated and prosecuted.

So, to insure more effective anti-corruption fight the Government has to:

- ensure vigorous implementation of anti-corruption strategies through stronger leadership and necessary resources
- actively and effectively involve civil society in policies
- strengthen the investigation and prosecution of corruption particularly among high-ranking officials
- guarantee more transparent and reasonable public procurement system

The political system still lacks checks and balances. The dearth of competition and political accountability in the system leads also to serious deficits in other areas including: consistent application of rule of law and citizens' meaningful participation in political and economic process with their voice to be effectively listened.

Despite the changes and amendments in legislation and mainly in business regulations, small business is not yet enough developed. This is connected with lack of competition, regional disparities, large informal sector and weak implementation of regulations. Moreover, unemployment and poverty remain major concern.

In this regard to insure better regulatory quality both in theory in terms of legislation and in practice, the Government needs to:

- Ensure better implementation of regulations with the aim to promote the development of the private sector
- Support the further development of small and medium business with sound policies
- Develop and diversify competitive export industries
- Integrate financial markets to longer term development

In terms of participatory policymaking the situation is more encouraging. The laws and procedures governing civil participation in political decision-making are enough to enable public's participation in the decision-making processes. However, the culture of consultative communications and civil society participation in decision-making must go hand in hand with a culture of transparency. This requires more effectiveness and active participation from civil society and more transparency and accountability from the government. To support this, ministries, government agencies, and local authorities need the knowledge and resources, namely budget allocations and training in the policymaking process, to be able to coordinate public consultations around new

initiatives and laws - and civil society also needs to have received training to be a professional, constructive partner in the process.

Information sources

The data used for this report has been gathered from state reports, governmental policies, legislation and strategies. Reports of the international organizations and studies have been used to complete the information presented below. Further, the report is based also on the findings and information of the organization gathered during its daily activities in various spheres and implemented projects.

“უფლებების დაცვა საზღვრებს გარეშე”

საქართველოში „კარგი მმართველობის“ შეფასება

ერევანი, 2016

პროექტი განხორციელდა არასამთავრობო ორგანიზაციის– „უფლებების დაცვა საზღვრებს გარეშე“–ს მიერ და საერთაშორისო ფონდ–„ვიშეგრადის“ მხარდაჭერით.

სახელმძღვანელოს გამოცემა დასრულდა საერთაშორისო ფონდ–„ვიშეგრადის“ ფინანსური მხარდაჭერით.

წინამდებარე სახელმძღვანელოს შინაარსზე პასუხისმგებელია არასამთავრობო ორგანიზაცია–„უფლებების დაცვა საზღვრებს გარეშე“. გზამკვლევის შინაარსი სულაც არ გამოხატავს ვიშეგრადის ფონდის შეხედულებებსა და მოსაზრებებს.

ანგარიშის შექმნაზე მუშაობდნენ:

თამარ ფეიქრიშვილი,

არასამთავრობო ორგანიზაცია–„მცოდნელი“,

ნინო ჩიმაკაძე,

„სასკოლო კვლევების ცენტრი“ და „საქართველოს ადვოკატთა ასოციაცია“

ირინე კასრაძე,

„ადამიანის უფლებათა ცენტრი“

ხათუნა ჩარგაზია,

„სამოქალაქო განვითარებისა და ადამიანის უფლებათა ცენტრი“

პროექტი გვიზიარებს V4 დადგენილი გამოცდილებასკანონის უზენაესობის სფეროში, განსაკუთრებით მოქალაქე სასამართლო მონიტორინგის პოლონეთიდან და სხვა კარგი მმართველობის პროგრამებს EU / OECD რეგიონიდან, მათ შორის CONCORD მოდელს მტკიცებულებებზე დაფუძნებული ადვოკატირებისა აღმოსავლეთ პარტნიორობის ქვეყნებში.

პარტნიორი ორგანიზაციები:

1. დემოკრატიული ცვლილებების საერთაშორისო ცენტრი;
2. პარტნიორები დემოკრატიული ცვლილებებისთვის –სლოვაკეთი;
3. სამოქალაქო საზოგადოების განვითარების ფონდი;
4. სასამართლოზე დაკვირების პოლონური ფონდი;
5. საქართველოს სტრატეგიისა და საერთაშორისო ურთიერთობების ფონდი.



რეზიუმე.....	47
შესავალი	47
1.ხმა და ანგარიშვალდებულება:	48
2.პოლიტიკური სტაბილურობა და ძალადობა:.....	62
3. რეგულირების ხარისხი:.....	64
4. მთავრობის ეფექტურობა:	72
5. კორუფციის კონტროლი:.....	76
შედეგები:.....	77
რეკომენდაციები:.....	80

რეზიუმე

„მმართველობა წარმოადგენს იმ გზას, რის მიხედვითაც საზოგადოება აწყობს და მართავს კანონდებლობის მიღების მისი იმპლიმენტაციისათვის საჭირო წესებს“ (UNDESA, 2007:1) იგი განაპირობებს ფასეულობებს, კანონმდებლობებსა და ინსტიტუტებს, რომელთა მეშვეობითაც საზოგადოება, სახელმწიფოს, სამოქალაქო საზოგადოებისა და კერძო სექტორის თანამშრომლობის დახმარებით საკუთარ ეკონომიკურ, პოლიტიკურ და სოციალურ შესაძლებლობების განვითარებას ახერხებს. მმართველობა ასევე შეიძლება გავიგოთ, როგორც „ის ტრადიციები და ინსტიტუტები რომელთა მეშვეობითაც ხდება ხელისუფლების ძალაუფლების გამოყენება“ (Kaufmann, Kraay and Mastuzzi, 2010) ევროკავშირმა დაარსა პოლიტიკაში ახლო კავშირი კარგად განვითარებულ მმართველობის სისტემასა და ძლიერ ანგარიშვალდებულების და გამჭვირვალებას შორის (European Commission, 2003). მმართველობა კარგი არის მაშინ, „როდესაც იგი ანაწილებს და მართავს რესურსებს ისე რომ გადაჭრას კოლექტიური პრობლემები, სხვანაირად რომ ვთქვათ, როდესაც სახელმწიფო ეფექტურად მარაგებს საკუთარ მოქალაქეებს მაღალი ხარისხის საზოგადოების არსებობისათვის საჭირო ინფრასტრუქტურით და ზოგადი განვითარების საჭირო ელემენტებით.“ (UNDESA 2007;4) მმართველობის ეფექტური სისტემა მოსახლეობის საჭიროებებს უნდა ემსახუროს და ამავდროულად უნდა დააბალანსოს მეტოქე ინტერესები.

შესავალი

საქართველო საბჭოთა კავშირის დაშლის შემდეგ

1991 წელს, საბჭოთა კავშირის დაშლის და დამოუკიდებლობის მოპოვების შემდეგ, საქართველოს დემოკრატიული გზით არჩეული ე.წ. „ეროვნული მთავრობა“ მართავდა. პირველი დემოკრატიული არჩევნებისათვის, ჩვენი ქვეყანა მოუმზადებელი აღმოჩნდა, რადგანაც დეპუტატებს საჭირო უნარ-ჩვევებით კი არა, ქარიზმით და პიროვნული სიმპათიებით ირჩევდა. ბევრი პოლიტიკური პარტია იმდროინდელ პარლამენტში მხოლოდ იმიტომ შევიდა რომ იგი ერთი ან რამდენიმე მიტინგის პოპულარული ორატორის დაარსებული იყო. დემოკრატიულ არჩევნებისადმი საზოგადოების მოუმზადებლობაზე ევროპელმა ექსპერტებმაც არაერთხელ ისაუბრეს. რამდენიმე თვეში, საქართველოში სისხლიანი ეთნოკონფლიქტები დაიწყო, რომელშიც რუსეთთან საზღვრისპირა რეგიონები საქართველოს იურისდიქციიდან გასვლას მოითხოვდნენ. ახალმა მთავრობამ ასევე საზოგადოების სხვადასხვა ფენის ინტერესთა დაბალანსება ვერ მოახერხა, სიტუაცია მწვავე ეკონომიკურმა კრიზისმაც გააღრმავა, რასაც სამოქალაქო ომი და არჩეული ხელისუფლების ძალადობრივი გადატრიალება მოჰყვა. სამხედრო გადატრიალების ორგანიზატორებმა ხელისუფლების მმართველად ედუარდ შევარდნაძე ჩამოიყვანეს, რომელსაც მაშინ, საზოგადოების მნიშვნელოვანი მხარდაჭერა ჰქონდა. პრეზიდენტ შევარდნაძის

მმართველობას სამოქალაქო ომის დასრულება, პოლიტიკური ოპონენტების ლიკვიდაცია, ციხეში ჩასმა ან გადასახლება მოჰყვა. შევარდნაძეს მოახერხა საზოგადოების სხვადასხვა ფენის ინტერესთა დაბალანდება, წინა ხელისუფლების მოწინააღმდეგე „სამხედრო ხუნტა“ ხელისუფლებას ჩამოაშორა, მოახდინა პროვატიზაცია და აქტიური თანამშრომლობა დაიწყო ევროპის სახელმწიფოებთან. ამ დროიდან, ქართველი ახალგაზრდებს ევროპული და ამერიკული განათლების მიღების საშუალება მიეცათ, სადაც ევროპული სახელმწიფოების მოწყობის წესებს ახლოს გაეცნენ. საქართველოში ევროპული დემოკრატიის დამაკვიდრების მიმართულებით აქტიური მუშაობა დაიწყო. დემოკრატიული ღირებულებების საკითხში „აქტიური“ პოზიცია ჰქონდა „ვარდების რევოლუციის“ შედეგად მოსულ მთავრობას, რომელსაც საზოგადოების ღრმაფესვგადგმულ სტერეოტიპებთან შებრძოლება მოუწია. თუმცა, მათ გვერდი ვერ აუარეს მემკვიდრეობით მიღებულ „ავტორიტარულ ტენდენციებს“, რასაც საზოგადოების დიდი უკმაყოფილება მათი „გადარჩევა“ მოჰყვა. დემოკრატიული პრონციპების დაცვის, საზოგადოების ჩართულობის და გამჭვირვალობის მიმართულებით საქართველოს ისევ მრავალი პრობლემაა, თუმცა ჩვენი ქვეყნის ბოლო, ოცწლიან განვითარების გზას თუ გადავხედავთ, დემოკრატიული პრონციპების დამკვიდრების გზაზე საქართველომ მნიშვნელოვანი ნაბიჯები გადადგა: საქართველოში სიტყვის და გამოხატვის თავისუფლების მაღალი დონეა, სამთავრობო გადაწყვეტილებების, მთავრობის წევრების ქონებაზე ინფორმაცია გასაჯაროვებულია, საზოგადოება უფრო მეტად ტოლერატულია, განწყობილია პრობლემები თანამშრომლობის გზით გადაწყვიტოს, ვიდრე-- კონფლიქტებით. ამგვარად, სამოქალაქო პასუხისმგებლობის დონე, თუმცა ნელი ნაბიჯით, მაგრამ წინ მიდის.

წინამდებარე ნაშრომი საქართველოს კანონმდებლობის, არსამთავრობო ორგანიზაციების ჩვენს ხელთ არსებულ კვლევებს მოიცავს, რომელიც ასევე ჩვენი ჯგუფის წევრების სუბიექტურ მოსაზრებებზეცაა დაამყარებული.

წყაროები : ხელისუფლების სხვადასხვა ორგანოთა ოფიციალური ვებგვერდები, კვლევები ადგილობრივი თუ საერთაშორისო არასამთავრობო ორგანიზაციების, საქართველოს საკანონმდებლო მაცნე, ინტერვიუები.

1. ხმა და ანგარიშვალდებულება:

აღნიშნული კვლევა/შეფასება აღწერს საკანონმდებლო პროცესს საქართველოში და აანალიზებს კონკრეტულ მნიშვნელოვან ასპექტებს. იგი უმთავრესად ეფუძნება კონსტიტუციის, შესაბამისი შიდა საკანონმდებლო და სამართლებრივ დოკუმენტების ანალიზს, კერძოდ, საქართველოს კონსტიტუციას, საქართველოს კანონს „საკონსტიტუციო სამართალ წარმოების შესახებ“, საქართველოს ორგანულ კანონს „საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს შესახებ“, საქართველოს კანონს „ნორმატიული აქტების შესახებ“ საქართველოს პარლამენტის რეგლამენტს, საქართველოს მთავრობის რეგლამენტს, საქართველოს ზოგად

ადმინისტრაციულ კოდექსს (ინფორმაციის ხელმისაწვდომობასთან დაკავშირებული ნაწილები), საქართველოს ორგანულ კანონს – „ადგილობრივი თვითთმმართველობის კოდექსის“, ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს რეგლამენტს, ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის დებულებას.

ასევე დაურიგდათ კითხვარები ადგილობრივი თვითთმმართველობის - თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრებს, რომლებიც უშუალოდ მონაწილეობენ ნორმატიული და ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტების შემუშავება/მიღებაში და საკანონმდებლო წინადადებების წარდგენაში. ასევე სამოქალაქო საზოგადოების წარმომადგენლებს, რომლებიც ეწვეიან პრაქტიკულ საქმიანობას კანონშემოქმედებით პროცესში.

წინამდებარე კვლევა წარმოადგენს საქართველოში არსებული ოფიციალური პროცედურებისა და მიმდინარე პრაქტიკის სიტუაციურ ანალიზს, კანონშემოქმედებით საქმიანობაში კანონპროექტებისა და ნორმატიული სამართლებრივი აქტების მომზადების, შედგენის, კანონის/სამართლებრივი აქტის ძალაში შესვლის, ინფორმაციის გავრცელების, გამოქვეყნების და შეფასების პრაქტიკასთან მიმართებაში. იგი განიხილავს კანონშემოქმედებითი პროცესის მნიშვნელოვან ასპექტებს ქვეყანაში და განსაზღვრავს არსებულ პრობლემებსა და რისკებს, აგრეთვე განსაზღვრავს იმ მიზნებს, რომელთა მიღწევაც საჭიროა კანონშემოქმედებითი პროცესის ეფექტურად წარმართვისთვის და მაღალი ხარისხის სამართლებრივი შედეგების მისაღებად.

დაინტერესებულ მხარეთა კონსულტაციების მთავარი მახასიათებელი და მათი საჭიროება ხაზგასმულია კანონმდებლობაში და ადგილობრივი თვითთმმართველობის ნორმატიულ აქტებში, რომელიც არეგულირებს ზოგადად კანონშემოქმედებით და ნორმატიული აქტის მიღების პროცესს, მაგრამ პრაქტიკა ზოგადად სიტუაციურ ხასიათს ატარებს და თითქმის არ არსებობს კონსულტაციები დაინტერესებულ მხარეებთან და საზოგადოებასთან კანონშემოქმედებითი საქმიანობის წინა ეტაპზე. არ არსებობს მარეგულირებელი ჩარჩო, რომელიც დეტალურად განაზღვრავს დაინტერესებულ პირებთან კონსულტაციის ჩატარების დეტალებს. მიდგომა, რომელიც სრულად მოიცავს სათანადო მეთოდოლოგიას, სახელმძღვანელო პრინციპებს ან სამუშაო გეგმას, ჯერჯერობით არ არის შემუშავებული. შესაბამისი და დროული ელექტრონული საინფორმაციო სისტემის არარსებობა კიდევ უფრო მნიშვნელოვნად ზღუდავს რეალური კონსულტაციების ჩატარებას.

კანონპროექტებსა და ნორმატიულ ადმინისტრაციულ სამართლებრივი აქტების პროექტებს კანონმდებლობის შესაბამისად თან ახლავს განმარტებითი ბარათები, რომელიც წარმოადგენს

დოკუმენტს, სადაც ახსნილია აქტის მიღების მიზანი და წინაპირობები და რომლებიც საკმაოდ ხშირ შემთხვევაში ზოგადია ხოლმე და არ იძლევა სათანადო ინფორმაციას და მოტივაციას პროექტის მოსამზადებლად ან ღირებულებისა და სხვა ზეგავლენის შესაფასებლად. ეს ფართოდ გავრცელებული პრაქტიკაა როგორც მთავრობაში, ისე

პარლამენტსა და ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოებში, რომელსაც უნდა მიექცეს ყურადღება. „ნორმატიული აქტების შესახებ“ საქართველოს კანონში განმარტებითი ბარათის დამატებით მოთხოვნაზე არაფერია აღნიშნული, მაგალითად, განმარტება იმის თაობაზე, თუ რითი სჯობს კანონის გამოყენება სხვა საშუალებებს პოლიტიკური იმპიუნების მისაღწევად. ამგვარი მოთხოვნების გარეშე, განმარტებითი ბარათების მომზადება წარმოშობს იმ რისკს, რომ ეს განმარტებები ძირითადად ფორმალურ სახეს მიიღებენ.

კანონპროექტები და კანონქვემდებარე ნორმატიული აქტების პროექტები მზადდება შესაბამისი ინიცირების მქონე სუბიექტების მიერ, წინასწარ შემუშავებული კონცეფციის საფუძველზე, რომელიც ზოგადად აღწერს, თუ რა უნდა იქნას მიღწეული ამ კანონით ან და სამართლებრივი აქტით. თუმცა ხშირად ასეთი კონცეფცია-დოკუმენტი მხოლოდ ერთ შესაძლებლობაზეა ხოლმე ფოკუსირებული და არ განიხილავს პრობლემების გადაჭრის შესაძლო ალტერნატიულ გზებს. ძნელია იმის თქმა ეფუძნება თუ არა პრობლემის გადაჭრის გზები გადაწყვეტილების მიღებისათვის პროცესს, რომელიც პრობლემის იდენტიფიცირებასთან ერთად, ასევე შეიცავს შედეგების მისაღწევად საჭირო კრიტერიუმების დადგენას ყველა შესაძლო გადაწყვეტილებების და მათი შედეგების გათვალისწინებით, შედეგის მიღწევის კრიტერიუმებზე დაყრდნობით საუკეთესო არჩევანის გაკეთების საპირისპიროდ. სახელმწიფო უწყებებსა და ადგილობრივ ორგანოებს შორის სუსტ კოორდინაციასთან ერთად, პოლიტიკის შემუშავების არასათანადო დონე კანონშემოქმედებითი პროცესის დასაწყისში შეიძლება იყოს ერთერთი მიზეზი რეგულარულისა კანონმდებლო ცვლილებების ურიცხვი რაოდენობისა.

სახელმწიფო უწყებებში არსებობს სპეციალური განყოფილებები, რომლებსაც ევალებათ დაინტერესებულ მხარეებთან კომუნიკაციის დამყარება. თუმცა არ არსებობს ამგვარ ორგანიზაციებთან კონსულტაციების ჩატარების გაწერილი პროცედურა, ის საკითხი თუ როგორ უნდა მოხდეს პროცედურის ორგანიზება და ვინ უნდა იქნას მოწვეული კონსულტაციაზე, ღიად რჩება. აგრეთვე გაუგებარია თუ როგორ და რა დონეზე მიიღებენ მხედველობაში სახელმწიფო უწყებები დაინტერესებული პირების/ორგანიზაციების მოსაზრებებს მხედველობაში, მაგალითად კანონპროექტის შესახებ შენიშვნების ფორმულირებისას.

სამინისტროები თითქმის არ ფლობენ შესაბამისი სტანდარტის კანონპროექტების შესადგენად საჭირო პოლიტიკის შემუშავების მეთოდოლოგიას. უფრო მეტიც, ის თუ რა სიხშირით ხდება კანონებში და კანონქვემდებარე ნორმატიულ აქტებში შესწორებების შეტანა გვაფიქრებინებს, რომ საკანონმდებლო წინადადებები ყოველთვის სათანადოდ არ არის გააზრებული. ამჟამად, არ არსებობს ინსტიტუციონალიზირებული უკუკავშირის მექანიზმი პოლიტიკისა და კანონების შემუშავების პროცესში ჩართული დაინტერესებული მხარეებისთვის. ამის ერთერთი მიზეზი შეიძლება იყოს ისევე სათანადო ელექტრონული სისტემის არარსებობა, და აგრეთვე საკონსულტაციო შეხვედრების შესახებ დოკუმენტების უკმარისობა. ამდენად, უპირანი იქნებოდა საჯარო ჩანაწერების წარმოება, რათა დაფიქსირდეს თუ რამდენად იქნა გათვალისწინებული შემოთავაზებული

ცვლილებები და ზოგიერთი ცვლილების მიღების ან უარყოფის მიზეზები. მსგავსი მოსაზრებები უნდა ეხებოდეს იმ შემთხვევებს, როდესაც ცალკეული მოქალაქეები საქართველოს საკანონმდებლო მაცნეს მონაცემთა ელექტრონულ ბაზაში ან პირდაპირ საპარლამენტო კომიტეტში ტოვებენ თავიანთ შენიშვნებს კანონპროექტის შესახებ. საზოგადოებისთვის სახელმწიფო თუ ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოების საჯარო სხდომებზე დასწრება თავისუფალია, გარდა კანონმდებლობით დადგენილი განსაკუთრებული შემთხვევებისა. სახელმწიფო უწყებებში კონსულტაციის პროცედურის ხელშესაწყობად, საჭიროასხდომების დღის წესრიგის დროულად გამოქვეყნების წესების განხორციელება. ამასთან ერთად, აუცილებელია რომ პარლამენტის ყველა კომიტეტის, მთავრობის და საკრებულოების, მისი კომისიებისა თუ ფრაქციების სხდომების დღის წესრიგი და ოქმები გამოქვეყნდეს ვებ-გვერდზე დროულად, რათა დაინტერესებულ მხარეებს მიეცეთ შესაძლებლობა წარადგინონ თავიანთი მოსაზრებები, გაიმართოს ჯანსაღი დისკუსია, შეფასდეს წინადადებები და საჭიროების შემთხვევაში მოხდეს მისი ასახვა სამართლებრივი აქტების პროექტებში.

➤ საპარლამენტო ინიციატივა

საკანონმდებლო პროცესი არის პროცედურების ერთობლიობა, რომელიც გულისხმობს: საკანონმდებლო ინიციატივის უფლების მქონე სუბიექტის მიერ კანონპროექტის მომზადებას, პარლამენტისათვის წარდგენას, პარლამენტის მიერ კანონპროექტის განხილვას, მიღებას, საქართველოს პრეზიდენტისათვის ხელმოსაწერად გადაცემას, პრეზიდენტის უფლებას – შენიშვნებით დაუბრუნოს პარლამენტს მიღებული კანონპროექტი, პარლამენტის მიერ პრეზიდენტის შენიშვნებით დაბრუნებული კანონპროექტის განხილვას, მიღებულ კანონპროექტზე პრეზიდენტის მიერ ხელის მოწერას და კანონის გამოქვეყნებას.

საკანონმდებლო პროცესი იწყება საკანონმდებლო ინიციატივის უფლების მქონე სუბიექტის მიერ კანონპროექტის მომზადებით და პარლამენტისათვის წარდგენით. საქართველოს კონსტიტუციის 67-ე მუხლის შესაბამისად, საკანონმდებლო ინიციატივის უფლება აქვთ: საქართველოს მთავრობას, პარლამენტის წევრს, კომიტეტს, ფრაქციას, აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკისა და აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლეს წარმომადგენლობით ორგანოებს, არანაკლებ 30000 ამომრჩეველს.

ჩვენთვის განსაკუთრებით საყურადღებოა, არანაკლებ 30000 ამომრჩეველის ინიციატივით კანონპროექტის წარდგენის უფლების განხორციელების მიზნით საარჩევნო უფლების მქონე საქართველოს მოქალაქეები ქმნიან საინიციატივო ჯგუფს არანაკლებ 5 წევრის შემადგენლობით. საინიციატივო ჯგუფი პარლამენტის ბიუროს მიმართავს განცხადებით რეგისტრაციაში გატარების შესახებ. განცხადებას უნდა ერთოდეს კანონპროექტი და საინიციატივო ჯგუფის წევრთა შემდეგი მონაცემები: სახელი, გვარი, დაბადების წელი, თვე და რიცხვი, მისამართი, პირადი ნომერი და ტელეფონის ნომერი. ეს მასალები პარლამენტის ბიუროს უახლოესი სხდომიდან 2 დღის ვადაში გადაეცემა პარლამენტის საპროცედურო საკითხთა და წესების კომიტეტს. პარლამენტის საპროცედურო საკითხთა და წესების კომიტეტი

პარლამენტის ბიუროს მიერ საინიციატივო ჯგუფის რეგისტრაციაში გატარების შესახებ მასალების გადაცემიდან 5 დღის ვადაში საინიციატივო ჯგუფს გადასცემს სარეგისტრაციო მოწმობას ან მოტივირებულ უარს ეუბნება რეგისტრაციაზე. საინიციატივო ჯგუფი სარეგისტრაციო მოწმობის მიღების დღიდან უფლებამოსილია დაიწყოს კანონპროექტის მხარდამჭერთა ხელმოწერების შეგროვება. ხელმოწერების შესაგროვებლად პარლამენტის საპროცედურო საკითხთა და წესების კომიტეტის მიერ დადგენილი ფორმის თითოეულ ფურცელს ხელს აწერს არა უმეტეს 50 ამომრჩევლისა. ხელმოწერების სისწორისთვის პასუხისმგებელი პირი აღნიშნავს ამომრჩევლის შემდეგ მონაცემებს: სახელს, გვარს, დაბადების წელს, თვესა და რიცხვს, მისამართს, პირად ნომერს, ტელეფონის ნომერს და ხელმოწერის თარიღს. ამ მონაცემებს ხელმოწერით ადასტურებს ამომრჩეველი. ყოველ ასეთ ფურცელს ხელმოწერით ადასტურებს ხელმოწერების შეგროვებისთვის პასუხისმგებელი პირი, რომელიც პასუხისმგებელია ხელმოწერების სისწორისათვის და პასუხს აგებს ხელმოწერების გაყალბებისათვის. თითოეული პასუხისმგებელი პირის ხელმოწერა უნდა დამოწმდეს სანოტარო ბიუროში. ამასთანავე, ერთ მუნიციპალიტეტში ხელმოწერების შეგროვებისთვის პასუხისმგებელი პირის ხელმოწერის სანოტარო წესით დამოწმება საკმარისია ერთხელ. მის მიერ ხელმოწერით დადასტურებული ყველა სხვა ხელმოწერების ფურცელი იმავე მუნიციპალიტეტში სანოტარო წესით დამოწმებას აღარ საჭიროებს. შევსებულ ხელმოწერების ფურცლებს საინიციატივო ჯგუფი სარეგისტრაციო მოწმობის მიღებიდან 45 დღის ვადაში წარუდგენს პარლამენტის ბიუროს, რომელიც 2 დღეში გადასცემს მათ პარლამენტის საპროცედურო საკითხთა და წესების კომიტეტს. პარლამენტის საპროცედურო საკითხთა და წესების კომიტეტი ხელმოწერების ფურცლების მიღებიდან 2 კვირის ვადაში შერჩევითი პრინციპის საფუძველზე ამოწმებს ხელმოწერების ნამდვილობას და შედეგებს წარუდგენს პარლამენტის ბიუროს უახლოეს სხდომას. თუ დადგინდა, რომ ხელმოწერები შესრულებულია ამ თავის მოთხოვნათა დარღვევით, რის გამოც ნამდვილ ხელმოწერათა რაოდენობა 30000-ზე ნაკლები აღმოჩნდა, პარლამენტის საპროცედურო საკითხთა და წესების კომიტეტის უარყოფითი დასკვნის საფუძველზე პარლამენტის ბიურო უარს ეუბნება საინიციატივო ჯგუფს კანონპროექტის პარლამენტში განსახილველად წარდგენაზე. შესაბამისად, კანონპროექტის წარდგენის უფლების განხორციელება უარყოფილად ითვლება. კანონპროექტის წარდგენაზე უარის მიღების შემთხვევაში საინიციატივო ჯგუფს უფლება აქვს, 5 დღის ვადაში მიმართოს საერთო სასამართლოს სისტემაში არსებულ პირველი ინსტანციის სასამართლოს. ამომრჩეველთა ხელმოწერების ნამდვილობის შესახებ პარლამენტის საპროცედურო საკითხთა და წესების კომიტეტის დადებითი დასკვნა და წარმოდგენილი კანონპროექტი წარედგინება პარლამენტის ბიუროს, ხოლო ამომრჩეველთა ხელმოწერების ფურცლები გადაეცემა პარლამენტის აპარატის საორგანიზაციო დეპარტამენტს. არანაკლებ 30000 ამომრჩევლის ინიციატივით წარდგენილ კანონპროექტზე მომხსენებლად პარლამენტში გამოდის საინიციატივო ჯგუფის მიერ დანიშნული საინიციატივო ჯგუფის წევრი, ხოლო თანამომხსენებლად – წამყვანი კომიტეტის წარმომადგენელი.

საქართველოს კანონმდებლობის თანახმად, კანონპროექტს უნდა დაერთოს განმარტებითი ბარათი, რომელშიც აისახება:

ა) ზოგადი ინფორმაცია კანონპროექტის შესახებ. მასში აღინიშნება:

ა.ა) კანონპროექტის მიღების მიზეზი;

ა.ბ) კანონპროექტის მიზანი;

ა.გ) კანონპროექტის ძირითადი არსი;

ბ) კანონპროექტის ფინანსური დასაბუთება. მასში აღინიშნება:

ბ.ა) კანონპროექტის მიღებასთან დაკავშირებით აუცილებელი ხარჯების დაფინანსების წყარო;

ბ.ბ) კანონპროექტის გავლენა ბიუჯეტის საშემოსავლო ნაწილზე;

ბ.გ) კანონპროექტის გავლენა ბიუჯეტის ხარჯვით ნაწილზე;

ბ.დ) სახელმწიფოს ახალი ფინანსური ვალდებულებები;

ბ.ე) კანონპროექტის მოსალოდნელი ფინანსური შედეგები იმ პირობების, რომელთა მიმართაც ვრცელდება კანონპროექტის მოქმედება;

ბ.ვ) კანონპროექტით დადგენილი გადასახადის, მოსაკრებლის ან სხვა სახის გადასახადების ოდენობა და ოდენობის განსაზღვრის პრინციპი;

გ) კანონპროექტის მიმართება საერთაშორისო სამართლებრივ სტანდარტებთან. მასში აღინიშნება:

გ.ა) კანონპროექტის მიმართება ევროკავშირის დირექტივებთან;

გ.ბ) კანონპროექტის მიმართება საერთაშორისო ორგანიზაციებში საქართველოს წევრობასთან დაკავშირებულ ვალდებულებებთან;

გ.გ) კანონპროექტის მიმართება საქართველოს ორმხრივ და მრავალმხრივ ხელშეკრულებებთან;

დ) კანონპროექტის მომზადების პროცესში მიღებული კონსულტაციები. მასში აღინიშნება:

დ.ა) სახელმწიფო, არასახელმწიფო ან/და საერთაშორისო ორგანიზაცია/დაწესებულება, ექსპერტები, რომლებმაც მონაწილეობა მიიღეს კანონპროექტის შემუშავებაში, ასეთის არსებობის შემთხვევაში;

დ.ბ) კანონპროექტის შემუშავებაში მონაწილე ორგანიზაციის (დაწესებულების) ან/და ექსპერტის შეფასება კანონპროექტის მიმართ, ასეთის არსებობის შემთხვევაში;

ე) კანონპროექტის ავტორი;

ვ) კანონპროექტის ინიციატორი.

კანონპროექტს ასევე უნდა დაერთოს:

ა) დამოუკიდებელი ექსპერტის დასკვნა კანონპროექტთან დაკავშირებით, ასეთის არსებობის შემთხვევაში;

ბ) შესაბამის ორგანოში კანონით დადგენილი წესით რეგისტრირებული ლობისტის დასკვნა კანონპროექტთან დაკავშირებით, ასეთის არსებობის შემთხვევაში.

თუ კანონპროექტი იწვევს სხვა საკანონმდებლო აქტში ცვლილების შეტანას, მას უნდა დაერთოს შესაბამისი პროექტი ამ საკანონმდებლო აქტში ცვლილების

შეტანის შესახებ და ისინი წარდგენილი უნდა იქნეს საკანონმდებლო პაკეტის სახით. კანონპროექტს ასევე უნდა დაერთოს იმ მუხლის (მუხლების) მოქმედი სრული რედაქცია, რომელშიც (რომლებშიც) წარმოდგენილი კანონპროექტით შედის ცვლილება, მათ შორის, ხდება მისი (მათი) ამოღება.

კომიტეტის მიერ საკანონმდებლო ინიციატივის წესით წარდგენილ კანონპროექტს უნდა დაერთოს კომიტეტის სხდომის ოქმი, რომელშიც მითითებულია მისი წარდგენის თაობაზე მიღებული გადაწყვეტილება, ხოლო საქართველოს მთავრობის მიერ საკანონმდებლო ინიციატივის წესით წარდგენილ კანონპროექტს უნდა დაერთოს მთავრობის სხდომის ოქმი, რომელშიც მითითებულია მისი წარდგენის თაობაზე მიღებული გადაწყვეტილება.

პარლამენტში საკანონმდებლო ინიციატივის წესით წარდგენილი კანონპროექტი განხილვისას გადის შემდეგ პროცედურებს:

ა) კანონპროექტი რეგისტრაციისათვის გადაეცემა პარლამენტის აპარატის საორგანიზაციო დეპარტამენტს;

ბ) პარლამენტის აპარატის საორგანიზაციო დეპარტამენტი კანონპროექტს გადასცემს პარლამენტის აპარატის იურიდიულ დეპარტამენტს და პარლამენტის საბიუჯეტო ოფისს ამ რეგლამენტის 147-ე მუხლის მე-5 პუნქტით გათვალისწინებული დასკვნების მოსამზადებლად. ამის შემდეგ კანონპროექტს პარლამენტის აპარატის იურიდიული დეპარტამენტისა და პარლამენტის საბიუჯეტო ოფისის დასკვნებთან ერთად საორგანიზაციო დეპარტამენტი გადასცემს პარლამენტის ბიუროს უახლოეს სხდომას, თუ იგი წარდგენილია ბიუროს სხდომის წინა კვირის პარასკევამდე. ამ ვადის გასვლის შემდეგ წარდგენილი კანონპროექტი ბიუროს მომდევნო სხდომას გადაეცემა;

გ) პარლამენტის ბიურო უახლოეს სხდომაზე იღებს გადაწყვეტილებას კანონპროექტის განხილვის პროცედურის დაწყების შესახებ, ამასთანავე, კანონპროექტს გადასცემს წამყვან კომიტეტს, სხვა კომიტეტებს, ფრაქციებს, უმრავლესობას, უმცირესობას, პარლამენტის აპარატის იურიდიულ დეპარტამენტს, აგრეთვე საქართველოს მთავრობას. საფინანსო სექტორის წარმომადგენლის საქმიანობის მარეგულირებელი კანონპროექტი გადაეცემა ასევე საქართველოს ეროვნულ ბანკს;

დ) წამყვანი კომიტეტი კანონპროექტს მიღებიდან არა უადრეს 3 დღისა (გარდა იმ კანონპროექტისა, რომლის დაჩქარებული წესით განხილვის შესახებ გადაწყვეტილება მიიღო პარლამენტის ბიურომ) და არა უგვიანეს 3 კვირისა განიხილავს კომიტეტის სხდომაზე;

ე) წამყვანი კომიტეტისა და სხვა კომიტეტების მიერ განხილვის შემდეგ კანონპროექტი შესაბამისი დასკვნებით გადაეცემა პარლამენტის ბიუროს პირველი მოსმენით განხილვისა და კენჭისყრისათვის პარლამენტის უახლოესი პლენარული სხდომის დღის წესრიგში შესატანად;

ვ) პარლამენტის პლენარულ სხდომაზე პირველი მოსმენით განხილვისა და მიღების შემდეგ კანონპროექტი გადაეცემა წამყვან კომიტეტს პირველი მოსმენისას გათვალისწინებული შენიშვნების ასახვისათვის და პარლამენტის პლენარულ სხდომაზე მეორე მოსმენით განხილვისა და კენჭისყრისათვის მოსამზადებლად;

ზ) პირველი მოსმენით მიღებიდან 2 კვირის ვადაში წამყვანი კომიტეტი კანონპროექტს განიხილავს კანონპროექტის პარლამენტის პლენარულ სხდომაზე მეორე მოსმენით განხილვისათვის მოსამზადებლად, ქვეპუნქტების, პუნქტების (ნაწილების), მუხლების, თავების ან/და კარების მიხედვით;

თ) წამყვანი კომიტეტის მიერ განხილვის შემდეგ კანონპროექტი შესაბამისი დასკვნებითა და ალტერნატიული წინადადებებით გადაეცემა პარლამენტის ბიუროს უახლოეს სხდომას მეორე მოსმენით განხილვისა და კენჭისყრისათვის პარლამენტის პლენარული სხდომის დღის წესრიგში შესატანად;

ი) პარლამენტის პლენარულ სხდომაზე მეორე მოსმენით განხილვისა და მიღების შემდეგ კანონპროექტი გადაეცემა წამყვან კომიტეტს მესამე მოსმენისათვის მოსამზადებლად;

კ) მეორე მოსმენით მიღებიდან 5 დღის ვადაში წამყვანი კომიტეტი პარლამენტის მიერ მეორე მოსმენით განხილვისას გათვალისწინებულ შენიშვნებს ასახავს კანონპროექტში და გადასცემს მას პარლამენტის ბიუროს მესამე მოსმენით განხილვისათვის პარლამენტის პლენარული სხდომის დღის წესრიგში შესატანად;

ლ) პარლამენტის პლენარულ სხდომაზე მესამე მოსმენით განხილვის შემდეგ კანონპროექტის საბოლოო რედაქტირებული ვარიანტი, რომლის თავფურცელი ვიზირებულია კანონპროექტის თაობაზე მომხსენებლის, წამყვანი კომიტეტის თავმჯდომარის (მისი არყოფნის შემთხვევაში – მისი მოვალეობის შემსრულებლის), კომიტეტის აპარატის პასუხისმგებელი პირის, პარლამენტის აპარატის იურიდიული დეპარტამენტის უფროსის (მისი არყოფნის შემთხვევაში – მისი მოვალეობის შემსრულებლის) და იურიდიული დეპარტამენტის სარედაქციო განყოფილების უფროსის (მისი არყოფნის შემთხვევაში – მისი მოვალეობის შემსრულებლის) მიერ, დგება კენჭისყრაზე საბოლოო რედაქციით მისაღებად;

მ) კანონპროექტი მესამე მოსმენით მიღებიდან 7 დღის ვადაში გადაეცემა საქართველოს პრეზიდენტს ხელმოსაწერად და კანონის გამოსაქვეყნებლად.

საკანონმდებლო ინიციატივის უფლების მქონე სუბიექტის მიერ მომზადებული და პარლამენტისათვის წარდგენილი კანონპროექტი გადაეცემა პარლამენტის აპარატის საორგანიზაციო დეპარტამენტს, რომელიც აღრიცხავს და რეგისტრაციაში ატარებს მას. საკანონმდებლო ინიციატივის უფლების მქონე სუბიექტის მიერ მომზადებული კანონპროექტის პარლამენტისათვის წარდგენის თარიღად მიიჩნევა მისი პარლამენტის აპარატის საორგანიზაციო დეპარტამენტში რეგისტრაციის თარიღი. პარლამენტის აპარატის საორგანიზაციო დეპარტამენტის მიერ პარლამენტის ბიუროსთვის გადაცემულ კანონპროექტს უნდა ერთოდეს პარლამენტის აპარატის იურიდიული და საორგანიზაციო დეპარტამენტების მიერ მომზადებული კანონპროექტის განხილვის პროცედურის დაწყების შესახებ პარლამენტის ბიუროს გადაწყვეტილების პროექტი, რომელშიც მითითებულია:

- ა) კანონპროექტის დასახელება;
- ბ) კანონპროექტის ინიციატორი;
- გ) კანონპროექტის ავტორი;
- დ) კანონპროექტის პარლამენტისათვის წარდგენის თარიღი;
- ე) წამყვანი კომიტეტი;

- ვ) კანონპროექტის კომიტეტის სხდომაზე განხილვის სავარაუდო თარიღი;
- ზ) სხვა კომიტეტები, რომელთა დასკვნებიც უნდა ერთოდეს კანონპროექტს;
- თ) კანონპროექტის პარლამენტის პლენარულ სხდომაზე განხილვის სავარაუდო თარიღი.

პარლამენტის ბიურო იღებს გადაწყვეტილებას კანონპროექტის განხილვის პროცედურის დაწყების შესახებ.

პარლამენტის აპარატის იურიდიული დეპარტამენტი და პარლამენტის საბიუჯეტო ოფისი ამოწმებს წარდგენილი კანონპროექტის რეგლამენტით დადგენილ მოთხოვნებთან შესაბამისობას. თუ წარდგენილი კანონპროექტი არ შეესაბამება პარლამენტის რეგლამენტის მოთხოვნებს, პარლამენტის ბიურო უფლებამოსილია პარლამენტის აპარატის იურიდიული დეპარტამენტისა და პარლამენტის საბიუჯეტო ოფისის მოტივირებული დასკვნების საფუძველზე კანონპროექტი ხარვეზის გამოსასწორებლად დაუბრუნოს მის ინიციატორს. პარლამენტის საბიუჯეტო ოფისი უფლებამოსილია კანონპროექტის განხილვის პროცედურის დაწყებიდან პირველ მოსმენამდე წარმოადგინოს დამატებითი ინფორმაცია. თუ საქართველოს მთავრობა მოითხოვს კანონპროექტის რიგგარეშე განხილვას, კანონპროექტის საპარლამენტო განხილვის ვადებს განსაზღვრავს პარლამენტის ბიურო და გადასცემს მას წამყვან კომიტეტს. თუ დადგენილ ვადაში ვერ მოხერხდა კანონპროექტის საპარლამენტო განხილვისათვის მომზადება, მისი განხილვისათვის დადგენილ ვადას საჭიროების შემთხვევაში გააგრძელებს პარლამენტის ბიურო. პარლამენტის ბიუროს მიერ კანონპროექტის განხილვის პროცედურის დაწყების შესახებ გადაწყვეტილების მიღების შემდეგ კანონპროექტი განსახილველად გადაეცემა კომიტეტებს, ფრაქციებს, უმრავლესობას, უმცირესობას, პარლამენტის აპარატის იურიდიულ დეპარტამენტს, აგრეთვე საქართველოს მთავრობას, მოთხოვნის შემთხვევაში – დამოუკიდებელ პარლამენტის წევრებს, და განთავსდება პარლამენტის ვებ-გვერდზე. კანონპროექტი, რომელიც იწვევს მიმდინარე წლის სახელმწიფო ბიუჯეტის ხარჯების ზრდას, შემოსავლების შემცირებას ან სახელმწიფოს მიერ ახალი ფინანსური ვალდებულებების აღებას, პარლამენტმა შეიძლება მიიღოს მხოლოდ საქართველოს მთავრობის თანხმობის შემდეგ, ხოლო მომავალ საფინანსო წელთან დაკავშირებული კანონპროექტი – საქართველოს მთავრობის თანხმობით ან მთავრობის მიერ პარლამენტისათვის წარდგენილი ქვეყნის ძირითადი მონაცემებისა და მიმართულებების დოკუმენტის ფარგლებში.

კანონპროექტის ინიციატორს უფლება აქვს, სათანადო მოტივირებით გამოითხოვოს იგი პირველი მოსმენით მიღებამდე. პარლამენტის წევრის უფლებამოსილების ვადამდე შეწყვეტის შემთხვევაში მის მიერ საკანონმდებლო ინიციატივის წესით წარდგენილი და განხილვის პროცესში მყოფი კანონპროექტები უარყოფილად ითვლება. ამის შესახებ წამყვანი კომიტეტი აცნობებს პარლამენტის ბიუროს. აღნიშნული ფაქტი ფორმდება საოქმო ჩანაწერით.

პარლამენტის პლენარულ სხდომაზე წარდგენილ კანონპროექტს უნდა ერთოდეს პარლამენტის აპარატის საორგანიზაციო დეპარტამენტის ინფორმაცია

კანონპროექტის თაობაზე და პარლამენტის აპარატის იურიდიული დეპარტამენტისა და პარლამენტის საბიუჯეტო ოფისის დასკვნები.

პარლამენტის აპარატის იურიდიული დეპარტამენტი ამზადებს დასკვნას შემდეგ საკითხებთან დაკავშირებით: შეესაბამება თუ არა ან ხომ არ ეწინააღმდეგება კანონპროექტი საქართველოს კანონმდებლობას და საერთაშორისო სამართლის საყოველთაოდ აღიარებულ ნორმებს;საჭიროა თუ არა ახალი კანონის მიღება;შეესაბამება თუ არა ან ხომ არ ეწინააღმდეგება კანონპროექტი საქართველოს მიერ საერთაშორისო ხელშეკრულებებითა და შეთანხმებებით ნაკისრ ვალდებულებებს;ამომწურავია თუ არა გასაუქმებელი ნორმატიული აქტების ნუსხა, იმ საკანონმდებლო აქტების პროექტების ნუსხა, რომლებშიც ცვლილების შეტანა აუცილებელია;შეესაბამება თუ არა კანონპროექტი ევროპის კავშირის კანონმდებლობას.

ხოლო პარლამენტის საბიუჯეტო ოფისი ამზადებს დასკვნას შემდეგ საკითხებზე:კანონპროექტის გავლენა ბიუჯეტის საშემოსავლო ნაწილზე;კანონპროექტის გავლენა ბიუჯეტის ხარჯვით ნაწილზე;სახელმწიფოს ახალი ფინანსური ვალდებულებები.

რაც შეეხება საკანონმდებლო წინადადებას იგი არის საკანონმდებლო ინიციატივის უფლების არმქონე სუბიექტის მიერ პარლამენტისათვის წარდგენილი, დადგენილი წესით გაფორმებული, დასაბუთებული მიმართვა ახალი კანონის მიღების, კანონში ცვლილების შეტანის ან კანონის ძალადაკარგულად გამოცხადების თაობაზე და მისი წარდგენის უფლება აქვთ საქართველოს მოქალაქეებს, სახელმწიფო ორგანოებს (გარდა საქართველოს აღმასრულებელი ხელისუფლების დაწესებულებებისა და საჯარო სამართლის იურიდიული პირებისა), ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოებს, კანონით დადგენილი წესით საქართველოში რეგისტრირებულ პოლიტიკურ და საზოგადოებრივ გაერთიანებებს და სხვა იურიდიულ პირებს.

➤ პეტიცია

ადგილობრივი თვითმმართველობის განხორციელებაში მოქალაქეთა მონაწილეობის ერთ-ერთი ფორმაა: პეტიცია.

პეტიციის წარდგენის უფლება აქვთ შემდეგ სუბიექტებს:

ა) მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე რეგისტრირებულ ამომრჩეველთა არანაკლებ 1%-ს;

ბ) დასახლების საერთო კრებას.

ამასთან, მუნიციპალიტეტის საკრებულო უფლებამოსილია პეტიციის წარდგენის უფლება მიანიჭოს მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე რეგისტრირებულ ამომრჩეველთა უფრო ნაკლებ რაოდენობას.საერთო კრების გადაწყვეტილების შესაბამისად, საერთო კრების სახელით პეტიციის წარდგენას უზრუნველყოფს საერთო კრების რჩეული ან/და საერთო კრების მიერ უფლებამოსილი პირი.პეტიცია

იწერება და შეიტანება მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარის სახელზე. პეტიციის სახით შეიძლება წარდგენილ იქნეს:

- ა) ნორმატიული ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის პროექტი;
- ბ) მოსამზადებელი ნორმატიული ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის პროექტის ძირითადი პრინციპები ან კონკრეტული წინადადებები;
- გ) მუნიციპალიტეტისთვის ან/და დასახლებისთვის საერთო მნიშვნელობის პრობლემებიდან გამომდინარე საკითხების მუნიციპალიტეტის საკრებულოს სხდომაზე შესწავლის, განხილვისა და გადაწყვეტის მოთხოვნა.

პეტიცია უნდა შეიცავდეს:

- ა) შესაბამისი განცხადების ტექსტს;
- ბ) პეტიციის წარმდგენი სუბიექტის მომხსენებლის/მომხსენებლების (არაუმეტეს 3 პირისა), სახელს, გვარს, მისამართს, საკონტაქტო ტელეფონის ნომერს (არსებობის შემთხვევაში) და საქართველოს მოქალაქის პირადობის დამადასტურებელი დოკუმენტის ასლს;
- გ) პეტიციის წარდგენის თარიღს;
- დ) კანონით გათვალისწინებულ შემთხვევაში – შესაბამისი მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე რეგისტრირებული პეტიციის წარმდგენი ამომრჩევლების სიას;
- ე) კანონით გათვალისწინებულ შემთხვევაში – ნორმატიული ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის პროექტს, კონკრეტულად ჩამოყალიბებულ მოთხოვნას და შესაბამის დასაბუთებას.

შესაბამისი მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე რეგისტრირებული პეტიციის წარმდგენი ამომრჩევლების სია უნდა შეიცავდეს შემდეგ მონაცემებს: შესაბამისი მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე რეგისტრირებული ამომრჩევლის სახელს, გვარს, დაბადების თარიღს (დღე, თვე, წელი), საქართველოს მოქალაქის პირად ნომერს, რეგისტრაციის ადგილს და ხელმოწერას.

პეტიციას არეგისტრირებს მუნიციპალიტეტის საკრებულოს აპარატი. იგი უზრუნველყოფს პეტიციის გამოქვეყნებას.

8. პეტიციის წარმდგენი სუბიექტის მომხსენებელს/მომხსენებლებს პეტიციის რეგისტრაციის მოწმობა ეძლევა/ეძლევათ მისი რეგისტრაციაში გატარების შესახებ მიმართვიდან 3 სამუშაო დღის ვადაში. რეგისტრაციაში გატარებაზე უარი დასაშვებია, თუ დარღვეულია ამ კანონის მოთხოვნები ან/და პეტიციით გათვალისწინებული საკითხის გადაწყვეტა არ განეკუთვნება მუნიციპალიტეტის უფლებამოსილებას.

9. პეტიციის წარმდგენი სუბიექტის მომხსენებელს/მომხსენებლებს უფლება აქვს/აქვთ, რეგისტრაციაში გატარებაზე უარი საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად გაასაჩივროს/გაასაჩივრონ სასამართლოში.

პეტიცია მუნიციპალიტეტის საკრებულოს ბიუროს გადაწყვეტილებით, მისი რეგისტრაციიდან 7 დღის ვადაში, შესასწავლად გადაეცემა მუნიციპალიტეტის საკრებულოს შესაბამის კომისიას ან მუნიციპალიტეტის საკრებულოს მუნიციპალიტეტის საკრებულოს სამუშაო ჯგუფის შექმნის წინადადებით, ან აღნიშნული პეტიცია უფლებამოსილების შესაბამისად, განსახილველად ეგზავნება მუნიციპალიტეტის გამგებელს/მერს. მუნიციპალიტეტის საკრებულო მუნიციპალიტეტის საკრებულოს ბიუროს მიერ პეტიციის გადაგზავნიდან 1 თვის ვადაში იღებს გადაწყვეტილებას პეტიციის შესასწავლად მუნიციპალიტეტის

საკრებულოს სამუშაო ჯგუფის შექმნის მიზანშეწონილობის შესახებ ან პეტიციას უგზავნის მუნიციპალიტეტის საკრებულოს შესაბამის კომისიას.

მუნიციპალიტეტის საკრებულოს შესაბამისი კომისია ან სამუშაო ჯგუფი პეტიციას მიღებიდან 15დღის ვადაში განიხილავს და იღებს ერთ-ერთ შემდეგ გადაწყვეტილებას:

ა) პეტიციის შესაბამისად მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტის მომზადების მიზანშეწონილად მიჩნევის თაობაზე;

ბ) პეტიციის შესწავლისა და მუნიციპალიტეტის საკრებულოს სხდომისთვის განსახილველად წარდგენის თაობაზე;

გ) პეტიციის განხილვის მიზანშეუწონლად მიჩნევის თაობაზე.

ზემოაღნიშნული გადაწყვეტილებები მიღებიდან 5 დღის ვადაში უნდა ეცნობოს პეტიციის წარმდგენ სუბიექტს და მისი მიღების შემთხვევაში მიღებიდან 1 თვის ვადაში მუნიციპალიტეტის საკრებულოს სხდომას განსახილველად წარედგინება შესაბამისი ნორმატიული ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის პროექტი. მუნიციპალიტეტის საკრებულო შესაბამისი დადგენილების პროექტს განიხილავს მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების მიღებისათვის კანონითა და მუნიციპალიტეტის საკრებულოს რეგლამენტით დადგენილი წესით.

➤ სამოქალაქო საზოგადოების მონაწილეობა გადაწყვეტილების მიღების პროცესში:

ქვეყნის დამოუკიდებლობის გამოცხადების შემდეგ, ქართველი ხალხის მიერ გაცხადდა ნება ქვეყანა აერჩია დემოკრატიული განვითარების გზა. პირველ წლებში ძალიან მწიკი იყო საზოგადოების ჩართულობისა და მონაწილეობის უზრუნველყოფა, ვინაიდან სახელმწიფო არსებობის პირველ ნაბიჯებს დგამდა, მაგრამ თანდათან სიტუაცია იცვლებოდა. საზოგადოებრივი ჯგუფები ნელ-ნელა ყალიბდებოდა, არსდებოდა საერთაშორისო ორგანიზაციების ფილიალები .

სამოქალაქო საზოგადოება არასამთავრობო ორგანიზაციების სახით უკვე ცდილობდა მონაწილეობა მიეღო ქვეყნისთვის მნიშვნელოვანი გადაწყვეტილების პროცესში ჩართულიყო ხელისუფლებასთან ერთად.

რა თქმა უნდა დასაწყისში, ხელისუფლების წარმომადგენლები ყურადღებას არ აქცევდნენ ამგვარ ორგანიზაციებს, თუმცა არასამთავრობო სექტორის განვითარებასთან ერთად ხელისუფლებები რწმუნდებოდნენ იმაში რომ ამ სექტორთან თანამშრომლობა ზოგჯერ აუცილებელი იყო.

2010 წლიდან ამ ხრივ შეინიშნება განსაკუთრებული აქტივობა, ამ დროისათვის არასამთავრობო სექტორის წარმომადგენლები იკრიბებიან სხვადასხვა პლატფორმების ირგვლივ და ერთიანი ძალები ცდილობენ მნიშვნელოვანი საკითხების ადვოკატირებას, ხელისუფლების გამჭვირვალებობისა და ანგარიშვალდებულების გაზრდას. თუმცა ეს არ იყო იოლი, ვინაიდან თანამდებობის პირები და პარტიული ლიდერები სიტყვიერ თავდასხმებს ახორციელებდნენ არასამთავრობო ორგანიზაციების მიმართ.

ასევე დადებითი ზეგავლენა მოახდინა აღმოსავლეთ პარტნიორობის ქვეყნების სამოქალაქო საზოგადოებების პლათფორმის ჩამოყალიბებამ, ვინაიდან არასამთავრობო სექტორს მეტი საშუალება გაუჩნდა ზეგავლენა მოეხდინა ხელისუფლებაზე.

ბოლო წლების მანძილზე მკვეთრად გაუმჯობესდა არასამთავრობო სექტორის ჩართულობის მაჩვენებელი გადაწყვეტილების მიღების პროცესში. ასე მაგალითად, 2012 წელს , არასამთავრობოთა აქტიურობით, საპარლამენტო არჩევნებამდე, საზოგადოებრივი მაუწყებლის კანონმდებლობაში შეტანილი იქნა , „Must carry“-ს წესები, რამაც გააუმჯობესა მოსახლეობის წვდომა მრავალფეროვან საინფორმაციო გამოშვებებზე არჩევნების წინ. 2013 წლიდან აქტიურად იყვნენ ჩართული თვითმმართველობის კოდექსის შემუშავებაში. ასევე, განსაკუთრებით უნდა აღინიშნოს 2014 წლის კამპანია– „ეს შენ გეხება“, რისი წყალობითაც პარლამენტმა ფარული მიყურადების შესახებ კანონში ცვლილებების შეტანის განხილვა დაიწყო.

ერთი სიტყვით, შეიძლება ითქვას არასამთავრო სექტორს მეტად ერთვება გადაწყვეტილების მიღების პროცესში, თუმცაღა ამ მიმართულებით კიდევ ბევრია გასაკათებელი.

➤ **საჯარო სამსახურის შესახებ კანონი:**

საჯარო სამსახური არის საქმიანობა სახელმწიფო და ადგილობრივი თვითმმართველობის სახაზინო (საბიუჯეტო) დაწესებულებებში, ხოლო საჯარო მოსამსახურედ ითვლება პირი, რომელიც „საჯარო სამსახურის შესახებ“ საქართველოს კანონის მიხედვით დადგენილი წესით, ეწევა ანაზღაურებად საქმიანობას სახელმწიფო ან ადგილობრივი თვითმმართველობის დაწესებულებაში. მარტივად რომ ვთქვათ, მოსამსახურე, რომელსაც აქვს სამსახურებრივი ურთიერთობა სახელმწიფოსთან, არის სახელმწიფო მოსამსახურე, ხოლო პირი, რომელიც სამსახურებრივ ურთიერთობაშია ადგილობრივი თვითმმართველობის ერთეულთან, არის ადგილობრივი თვითმმართველობის მოსამსახურე.

საჯარო სამსახურს გააჩნია ძირითადი პრინციპები, როგორცაა: საქართველოს სახელმწიფოსა და ხალხის ერთგულება;საქართველოს კონსტიტუციისა და კანონების უზენაესობის დაცვა მოსამსახურეთა მიერ თანამდებობრივი უფლება-მოვალეობების განხორციელებისას; ადამიანისა და მოქალაქის უფლებების, თავისუფლებების და ღირსების პატივისცემა;საქართველოს მოქალაქეთათვის საჯარო სამსახურის თანაბარი ხელმისაწვდომობა მათი უნარისა და პროფესიული მომზადების შესაბამისად;მოსამსახურეთა პროფესიონალიზმი და კომპეტენტურობა;საქვეყნოობა;საჯარო სამსახურის უპარტიოება და საერო ხასიათი;მოსამსახურეთა კადრების სტაბილურობა;მოსამსახურის ეკონომიკური, სოციალური და სამართლებრივი დაცვა.

სახელმწიფო მოსამსახურეს არ აქვს უფლება თავისი სამსახურებრივი მდგომარეობა გამოიყენოს პარტიული საქმიანობისათვის.

კომპეტენციის განვრცობადობისა და უფლებამოსილების დონის მიხედვით საჯარო სამსახურში თანამდებობები იყოფა შემდეგ რანგებად:

1. მთავარი საჯარო თანამდებობა;
2. წამყვანი საჯარო თანამდებობა;
3. უფროსი საჯარო თანამდებობა;
4. უმცროსი საჯარო თანამდებობა.

რანგების მიხედვით საჯარო თანამდებობათა კონკრეტული ნუსხა განისაზღვრება საჯარო სამსახურის თანამდებობათა რეესტრით, რომელიც დამტკიცებულია საქართველოს მთავრობის მიერ. სწორედ ამ თანამდებობათა რანგირებიდან გამომდინარე მტკიცდება კონკრეტული პირობები და მოთხოვნები (დამატებითი საკვალიფიკაციო მოთხოვნები) საჯარო სამსახურში დასაქმებისათვის.

საჯარო კონკურსს მოხელის ვაკანტური თანამდებობის დასაკავებლად შესაბამისი სახაზინო (საბიუჯეტო) დაწესებულება აცხადებს საჯარო სამსახურის ბიუროს მიერ ადმინისტრირებული ვებგვერდის მეშვეობით. ამასთანავე, კანდიდატს განცხადების წარსადგენად ეძლევა არანაკლებ 10-დღიანი ვადა კონკურსის გამოცხადების დღიდან. საჯარო სამსახურის ბიურო შექმნილია საჯარო სამსახურის სფეროში ერთიანი სახელმწიფო პოლიტიკის შემუშავებისა და შესაბამისი საქმიანობის კოორდინაციის ხელშეწყობის, საჯარო სამსახურის საბჭოსა და მისი წევრების საქმიანობის ორგანიზაციული, ტექნიკური, საინფორმაციო და საექსპერტო უზრუნველყოფის მიზნით. საჯარო სამსახურის ბიურო თავის მხრივ შეისწავლის და აანალიზებს, საჯარო სამსახურის სფეროში არსებულ მდგომარეობას, შესაბამისი ნორმატიული აქტების შესრულებას და საქართველოს მთავრობას წარუდგენს მოხსენებას, კოორდინაციასა და მეთოდურ დახმარებას უწევს საჯარო სამსახურში ადამიანური რესურსების მართვის პროცესებს, საჯარო მოსამსახურეთა პროფესიული მომზადების, გადამზადებისა და კვალიფიკაციის ამაღლების საქმეს.

➤ კანონებისა და კანონპროექტების ხელმისაწვდომობა

„საკანონმდებლო მაცნე“ წარმოადგენს ოფიციალურ ორგანოს, რომელიც არეგისტრირებს, აქვეყნებს და სისტემატიზაციას უკეთებს ძალაში შესულ ნორმატიულ აქტებს მაცნეს ვებსაიტზე გამოქვეყნების შემდეგ. ეს საკანონმდებლო აქტები დაცულია იუსტიციის სამინისტროს მიერ. იგი იძლევა ძალაში შესული კანონების, მოქმედი კანონმდებლობის კრებულის და კანონპროექტების გამოქვეყნების შესაძლებლობას, რომლებიც საზოგადოებისთვის უფასოდ არის ხელმისაწვდომი. საკანონმდებლო მონაცემთა ელექტრონული ბაზა შესაძლებლობას აძლევს საზოგადოების წევრებს გამოაქვეყნონ შენიშვნები როგორც ძალაში შესული კანონების, ისე კანონპროექტების შესახებ მათი შედგენის პროცესში. მაცნე, როგორც ასეთი, მხოლოდ ონლაინ მონაცემთა ბაზის სახით არსებობს. ეს ართმევს უპირატესობას მათ, ვინც არ სარგებლობს ინტერნეტით; ამდენადმათ არ შეუძლიათ ადვილად მოიპოვონ შესაბამისი კანონმდებლობა, განსაკუთრებით, როდესაც ინტერნეტი არ არის სრულად ხელმისაწვდომი ქვეყნის მთელი მასშტაბით. კანონების

ამობეჭდვა შესაძლებელია მოთხოვნისამებრ, და გადაიხდევენება მხოლოდ ასლის გადაღებისთვის მოსაკრებელი. მიუხედავად ამისა, კანონის ნაბეჭდი ვერსიების მოთხოვნა უფრო მათთვისაა ხელმისაწვდომი, ვინც დედაქალაქში ცხოვრობს. სხვაგან მაცხოვრებლებისთვის, განსაკუთრებით შეზღუდული ფინანსური შესაძლებლობის მქონეთათვის, ნაკლებად არის შესაძლებელი კანონებზე წვდომა. და ბოლოს, მაცნე იძლევა ზოგიერთი საკანონმდებლო აქტის ინგლისურ და რუსულ თარგმანებს. თუმცა, მთარგმნელობითი პროცესი არ არის სათანადოდ რეგულირებული და არ გამოიყენება სტანდარტული იურიდიული ტერმინოლოგია. გარდა ამისა, თარგმანი არ არის აღიარებული, როგორც ოფიციალური თარგმანი. უნდა შემუშავდეს მკაფი ორეკომენდაციები ლინგვისტურ სტანდარტებსა და პროცედურებზე, რათამაცნეს მიერ შესრულებული იურიდიული დოკუმენტების თარგმანები წარმოადგენდნენ ოფიციალურ თარგმანს.

2. პოლიტიკური სტაბილურობა და ძალადობა:

➤ შეიარაღებული კონფლიქტი

რუსეთი „გეორგიევსკის ტრაქტატის“ (1783წ.) გაფორმების შემდეგ, მუდმივად ცდილობს საქართველოს სუვერენიტეტს ფორმალური ხასიათი ჰქონდეს და ამ მიზნისათვის სხვადასხვა მეთოდებით მიმართავს ეთნოკონფლიქტების მხარდაჭერა ერთ-ერთი იარაღია.

1991–1993 წლებში აფხაზეთისა და სამაჩაბლოს კონფლიქტები შედეგები საქართველომ ძალიან მძიმედ გადაიტანა. (უდიდესი მსხვერპლი, უმძიმესი ფინანსური და ფსიქოლოგიური ზიანი)

2008 წლის ე.წ. „აგვისტოს ომმა“ კი კიდევ უფრო რუსეთ-საქართველოს ურთიერთობა კიდევ უფრო გაამწვავა. რუსეთმა აღიარა საქართველოს რეგიონების – აფხაზეთისა და ე.წ. „სამხრეთ ოსეთის“ დამოუკიდებლობა.

რუსეთი არ ასრულებს 2008 წლის აგვისტოში მიღწეულ ცეცხლის შეწყვეტის 6 პუნქტიან გეგმას.

ამ დროსათვის, ვითარება ისევ დამაბუღია, კონფლიქტის ზონებთან ახლოს მყოფი სოფლებიდან ეთნიკური ქართველების გატაცება, მათი გათავისუფლებისთვის გამოსასყიდის მოთხოვნა ხშირია. 2016 წლის მაისში, აფხაზეთის ადმინისტრაციულ საზღვართან, ქართულ საგუშაგოსთან საქართველოს მოქალაქე გიგა ოთხოზორია აფხაზეთის ტერიტორიიდან გადმოსულმა ე.წ. აფხაზმა მესაზღვრეებმა პირდაპირი დამიზნებით მოკლეს!.

„მცოცავი ოკუპაცია“ რუსი სამხედროების მიერ სასაზღვრო ქართული სოფლების ტერიტორიების დაკავება კვლავაც მიმდინარეობს. ამ გზით ისინი საკმაოდ მოუახლოვდნენ საქართველოს ცენტრალურ მაგისტრალს(დაახლოებით 200 მეტრით), რომელიც აღმოსავლეთ და დასავლეთ საქართველოს და მთიანი რეგიონების დამაკავშირებელი სასიცოცხლოდ მნიშვნელოვანი გზაა.

ამ ქმედებების მიზანი საქართველოს განვითარებისა და ქვეყნის ევრო-ატლანტიკურ სტრუქტურებში გაწევრიანების ხელისშეშლაა.

➤ დემონსტრაციები

ქვეყანაში სხვადასხვა საკითხებზე დემონსტრაციები იმართება, ზოგიერთი თავყრილობა ძალადობითაც ხასიათდება როგორც მონაწილეების ასევე სამართალ დამცავი ორგანოების მხრიდან.

საქართველოს კანონმდებლობაში მკაფიოდაა განმარტებული შეკრებისა და მანიფესტაციების გამართვის წესები და პოლიციელთა ქცევის ნორმები, მაგრამ მიუხედავად ამისა, სამართალდამცავთა მხრიდან უფლება-მოსილების გადაამეტების ფაქტები მაინც ხდება.

➤ ხელისუფლების სტაბილურობა

საქართველო დამოუკიდებელი სახელმწიფოდ არსებობის 25 წელს ითვლის. ამ ხნის მანძილზე, ქვეყანამ ბევრი ცვლილება განიცადა. თავდაპირველად ერთი სახელმწიფოებრივი წყობიდან მეორეზე გადასვლა, ეკონომიკური კრიზისისა და ომის პირობებში ძალიან ნელა, რთულ ვითარებაში მიმდინარეობდა.

პრეზიდენტ ედუარდ შევარდნაძის ხელისუფლებამ ევრო-ანტლანტიკურ სტრუქტურებში გაწევრიანების სურვილი გამოთქვა. საქართველოს განვითარების განგრძლივი გზა ჰქონდა გასავლელი სახელმწიფო ინსტიტუტები უნდა ჩამოყალიბებულიყო, მაშინ კი „ყვაოდა“ კორუპცია და ეკონომიკური განვითარების არანაირი პერსპექტივა ჩნდა.

2003 წლის, ე.წ. „ვარდების რევოლუციის“ შედეგად მიხეილ სააკაშვილის მეთაურობით ხელისუფლებაში ნაციონალური მოძრაობა“ მოვიდა. მანაც ქვეყნის ევროპული კურსის და ლიბერალურ-დემოკრატიული გზით განვითარება აირჩია ამ მიზნის მისაღწევად, საკმაოდ აქტიური რეფორმების დაიწყო. უკვე 2004–2007 წ.წ. ახალი ხელისუფლების წარმატებები აშკარა გახდა, ქვეყანაში სიტუაცია მრავალი ბევრი მიმართულებით გაუმჯობესდა, დაიხვეწა კანონმდებლობა, სახელისუფლებო ინსტიტუტების ჩამოყალიბება დაიწყო, რასაც კორუფციის დონის დაწვეა მოჰყვა. სწრაფ ცვლილებების მისაღწევად ხელისუფლებას რადიკალური ნაბიჯების გადადგმა მოუწია, რასაც მოსახლეობის მწვავე უკმაყოფილება მოჰყვა. მაგალითად პოლიციის რეფორმის განხორცილება, ერთ დღეში მოხდა, ერთ დღეში სრული

შემადგენლობის სამსახურიდან დაითხოვეს, რაც პოლიციელებისთვის და მათი ოჯახებისთვის მძიმე გადასატანი გახდა.

ასევე, აღსანიშნავია, იმდროინდელი საკადრო პოლიტიკა: პრეზიდენტ სააკაშვილის მმართველობის 9 წლის მანძილზე კადრები იმდენად სწრაფად იცვლებოდნენ და გადაიდგილდებნენ ერთი თანამდებობიდან მეორეზე, რომ მოსახლეობა ვერც კი ასწრებდა დამახსოვრებას ვინ რომელ თანამდებობაზე მუშაობდა. ქვეყნის მთავრობის უმაღლესი პირების შემადგენლობების მუდმივი, სწრაფი ცვლილებები არასტაბილურობის და არამდგრადობის შეგრძნებას ბადებდა.

2012–2013 წლების არჩევნების შედეგად ხელისუფლებაში კოალიცია–„ქართული ოცნება“ მოვიდა, რომლის შემადგენლობაში სხვადასხვა შეხედულებისა და ღირებულებების მქონე პროდასავლური ასევე პრორუსული ორიენტაციის პარტიები იყვნენ. მაშინ დამოუკიდებელი ქვეყნის ისტორიაში, არჩევნების გზით, ხელისუფლების მშვიდობიანი გადაბარება პირველად მოხდა.

თავიდან ქვეყანა განვითარების გზა ბუნდოვანი იყო, მაგრამ მალევე გაირკვა, რომ ქვეყანა ევროპული გზით განვითარების ერთგული რჩებოდა, თუმცა წინა წლებისგან განსხვავებითა, ხელისუფლების სოციალურ–დემოკრატიული იდეებისადმი სიმპათიაც გამოჩნდა, რაც ქვეყნის სახელწიფო ბიუჯეტი მთლინად სოციალურ პროგრამებზე ორიენტირებულობაში გამოიხატა. მაგალითად, ჯანდაცვის რეფორმა, რომლის საშუალებითაც ქვეყნის მოსახლეობას სახელწიფო დაზღვევით სარგებლობის უფლება მიეცა, (სახელმწიფომ ექიმთან ვიზიტი ან გარკვეული სახის ქირურგიული ოპერაციების სრულად ან ნაწილობრივ დაფინანსების პასუხისმგებლობა აიღო).

2013–2016 წლებში ხშირი საკადრო ცვლილებები და გადაადგილებები ისევ ხდება, ქვეყნის სწრაფ განვითარებაზე დადებითად არ აისახება.

3. რეგულირების ხარისხი:

➤ იუსტიციის სახლი

საქართველოს ხელისუფლების, სერვისების განვითარების მიმართულებით დიდ წარმატებად შეილება ჩაითვალოს „იუსტიციის სახლის“ შექმნა, სადაც საერთო სივრცეში მრავალი სახის ადმინისტრაციული მომსახურებაა თავმოყრილი. „იუსტიციის სახლში“ შესაძლებელია პირადობის, პასპორტის თუ სხვა დოკუმენტის, ქონებისა და საწარმოს ერთ დღეში რეგისტრაცია, რაც საკმაოდ კომფორტულია და უცხოელი ინვესტორების დიდ მოწონებას იმსახურებს. აღსანიშნავია, რომ სერვისები გაუმჯობესებისა და სრულყოფის პროცესშია.

➤ საბაჟო და საგადასახადო კონტროლი

საკაპშვილის ხელისუფლების დროს, საგადასახადო და საბაჟო სამსახურების რეფორმებიც მტკივნეული აღმოჩნდა, ძველი კადრების ახლით ჩანაცვლება და ზოგიერთი თანამშრომლის სისხლის სამართლი პასუხისგებაში მიცემაც მოხდა. სალარო აპარატების შემოღებამაც გარკვეული დისკომფორტი შექმნა, რაც მცირე და საშუალო ბიზნესის წარმომადგენლებს ტვირთად დააწვა.

საგასახადო სისტემის დახვეწამ ბიუჯეტის შევსება გაადავილა. რასაც ბოლო წლების მონაცემები ადასტურებს, მაგალითად: საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახურმა, ფინანსთა სამინისტროს მონაცემებზე დაყრდნობით გამოაქვეყნა ოფიციალური სტატისტიკა, რომლის მიხედვითაც ირკვევა რომ, 2015 წლის შემოსავლები 8 170, 500 მლნ შეადგენდა, ხოლო ხარჯვით ნაწილში მოცემული იყო -8 158,000 მლნ. შესაბამისად, მათ შორის ბიუჯეტის საოპერაციო სალდო გახლავთ 12,500. რაც იმას ნიშნავს რომ სახელმწიფომ კარგად გაართვა თავი გადასახადების შეკრებას და ხარჯვითი ნაწილმა დადგენილ ნიშნულს არ გადაჭარბა.

უნაღდო ანგარიშწორების ოპერაციების განხორციელების რაოდენობის საკითხი კორუფციის, გადასახადების გადაუხდელობისა თუ სხვა მასთან დაკავშირებული კრიმინალის აღსაკვეთად წინგადადგმული ნაბიჯია.

სამწუხაროდ, საქართველოს სტატისტიკის ეროვნულ სამსახურსა და საქართველოს ეროვნულ ბანკში არ მოიპოვება ბიუჯეტთან დაკავშირებული, უნაღდოანგარისწორების ოპერაციების შესახებ, წინა წლების მსგავსი სტატისტიკური მონაცემები. მხოლოდ 2000 წელს, ერთჯერადად, საქართველოს ეროვნულმა ბანკმა ჩაატარა მსგავსი კვლევა, მაგრამ ამ დროისათვის აღნიშნული სტატისტიკური ინფორმაცია მოძველებული და გამოუსადეგარია.

ამ საკითხთან დაკავშირებით შეიძლება ითქვას, რომ გადასახადების მოკრება ხდება უნაღდო ანგარისწორებით, იურიდიული თუ ფიზიკური პირები ვალდებულნი არიან, თავიანთი საქმიანობის კანონიერად წარმათვისათვის, გახსნან საბანკო ანგარიშები და გადასახადების გადახდა ამ გზით მოახდინონ.

ასევე მნიშვნელოვანია მცირე და საშუალო ბიზნესისთვის სალარო აპარატების ქონის ვალდებულების არსებობა, რაც ხელს უწყობს აღრიცხვიანობას, მეწარმის სამართლიანად დაბეგვრას, გადასახადების მოკრებას სახელმწიფო ბიუჯეტის სასარგებლოდ.

აღსანიშნავია, რომ საქართველოში მთლიანი გადახდების 80% ხდება უნაღდო ანგარისწორებით ხორციელდება, რაც რასაკვირველია კორუფციის არსებობის შესაძლებლობას ამცირებს.

➤ ინფორმაციის ხელმისაწვდომობა, ელექტრონული მმართველობა

საჯარო დაწესებულებათა საქმიანობის საქვეყნო ხასიათი დადგენილია საქართველოს კონსტიტუციით. საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის მე-3 თავი ადგენს ინფორმაციის საქვეყნობის პრინციპს და საჯარო დაწესებულებათა საქმიანობის ღიაობას, საჯარო ინფორმაციის მოთხოვნის მიღების წესებს დეტალურად აწესრიგებს. ადმინისტრაციულ ორგანოთა საქმიანობის გამჭვირვალობა პირდაპირპროპორციულია მმართველობის კანონიერებისთან, ვინაიდან კანონის ფარგლებში და მის შესაბამისად განხორციელებული მმართველობის დახურვის, საზოგადოებისათვის დამალვის ინტერესი არ არსებობს. დასკვნა თავისთავად გამომდინარეობს: საჯარო დაწესებულება, რომელიც აბრკოლებს საჯარო ინფორმაციის გაცემას, არ საქმიანობს კანონიერად!

საქვეყნობის პრინციპი წარმოადგენს საკუთარი მოსახლეობის-ხალხის, როგორც ხელისუფლების წყაროს წინაშე ერთგვარ ანგარიშვალდებულებას. სწორედ ამ პრინციპის რეალიზაციით ხალხი (საზოგადოება) აკონტროლებ არჩეულ ხელისუფლებას, რაც აზღვევს მის კორუფციისა და მიკერძოებულ მართვისაგან.

საქართველოს კანონმდებელს იმდენად მნიშვნელოვნად მიაჩნია საჯარო საქმიანობის ღიაობა, რომ ორ უმაღლეს პოლიტიკურ ინსტიტუტს - საქართველოს პარლამენტსა და საქართველოს პრეზიდენტს დაუდგინა კონტროლის განხორციელების ვალდებულება (საპარლამენტო და საპრეზიდენტო კონტროლი) ყოველი წლის **10 დეკემბერს ყველა საჯარო დაწესებულება ვალდებულია მათ წარუდგინოს ანგარიშ** ო:

- საჯარო დაწესებულებაში შესული საჯარო ინფორმაციის გაცემისა და საჯარო ინფორმაციაში შესწორების შეტანის მოთხოვნათა რაოდენობის შესახებ და მოთხოვნაზე უარის თქმის თაობაზე მიღებულ გადაწყვეტილებათა რაოდენობის შესახებ;
- მოთხოვნის დაკმაყოფილების ან მასზე უარის თქმის თაობაზე მიღებულ გადაწყვეტილებათა რაოდენობის, გადაწყვეტილების მიმღები საჯარო მოსამსახურის ვინაობის, აგრეთვე კოლეგიური საჯარო დაწესებულების მიერ საკუთარი სხდომის დახურვის შესახებ მიღებული გადაწყვეტილების შესახებ;
- საჯარო მონაცემთა ბაზებისა და საჯარო დაწესებულების მიერ პერსონალური მონაცემების შეგროვების დამუშავების, შენახვისა და სხვისთვის გადაცემის თაობაზე;
- საჯარო მოსამსახურეთა მიერ ამ კოდექსის მოთხოვნების დარღვევის რაოდენობისა და პასუხისმგებელ პირებზე დისციპლინური სახდელის დადების შესახებ.
- იმ საკანონმდებლო აქტების შესახებ, რომლებსაც დაწესებულება ეყრდნობოდა საჯარო ინფორმაციის გაცემაზე უარის თქმისას ან კოლეგიური საჯარო დაწესებულების სხდომის დახურვისას;

- საჯარო ინფორმაციის გაცემაზე უარის თქმის შესახებ მიღებული გადაწყვეტილების გასაჩივრების შესახებ;
- საჯარო დაწესებულების მიერ ინფორმაციის დამუშავებასა და გაცემასთან, აგრეთვე ინფორმაციის გაცემაზე უარის თქმის შესახებ მიღებული გადაწყვეტილების ან კოლეგიური საჯარო დაწესებულების სხდომის დახურვის თაობაზე მიღებული გადაწყვეტილების გასაჩივრებასთან დაკავშირებული ხარჯების, მათ შორის მხარის სასარგებლოდ გადახდილი თანხების შესახებ.

საქართველოს პარლამენტისა და საქართველოს პრეზიდენტის შესაბამის სამსახურებს ევალებათ სისტემური კონტროლის განხორციელება წარდგენილი ანგარიშების შესწავლისა და სათანადო დასკვნების საფუძველზე, რადგან **საქვეყნოობის პრინციპის იგნორირება იწვევს სამართლებრივ პასუხისმგებლობას.**

ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციის მე-10 მუხლის თანახმად, ყველას აქვს გამოხატვის თავისუფლება. ეს უფლება მოიცავს ადამიანის თავისუფლებას, ჰქონდეს მოსაზრებანი და მიღოს და გაავრცელოს ინფორმაცია და იდეები საჯარო ხელისუფლების ჩარევისა და საზღვრის მიუხედავად. იდენტური შინაარსის მატარებელია საქართველოს კონსტიტუციის 24-ე მუხლი, რომელიც ადგენს, რომ ყოველ ადამიანს აქვს უფლება, თავისუფლედ მიიღოს და გაავრცელოს ინფორმაცია, გამოთქვას და გაავრცელოს თავისი აზრი ზეპირად, წერილობით ან სხვა საშუალებით.

საქართველოს კონსტიტუციის 41 მუხლი ყველა მოქალაქეს ანიჭებს უფლებას, კანონით დადგენილი წესით გაეცნოს სახელმწიფო დაწესებულებაშიმასზე არსებულ ინფორმაციას, აგრეთვე იქ დაცულ სხვა ოფიციალურ დოკუმენტს, თუ ისინი არ შეიცავენ სახელმწიფო, პროფესიულ ან კომერციულ საიდუმლოებას. ადამიანის უფლება მიიღოს სრული, ობიექტური და დროული ინფორმაცია მის სამუშაო და საცხოვრებელი გარემოს მდგომარეობის შესახებ - გარანტირებულია საქართველოს კონსტიტუციის 37-ე მუხლით.

ნებისმიერი საჯარო ინფორმაცია არის ღია, გარდა კანონით გათვალისწინებული შემთხვევებისა. საჯარო ინფორმაციის გასაიდუმლოება დასაშვებია იმ შემთხვევაში, თუ კანონი *აწესებს* მისი გამხელისაგან დაცვის პირდაპირ მოთხოვნას; *ადგენს* ინფორმაციის გამხელისაგან დაცვის კონკრეტულ კრიტერიუმებს და *შეიცავს* საიდუმლოდ დასაცავი ინფორმაციის ამომწურავ ჩამონათვალს.

საქართველოს ზოგად ადმინისტრაციულ კოდექსზე დაყრდნობით შესაძლებელია ინფორმაციის 5 ტიპის გამოყოფა, რომელიც დახურულ ინფორმაციად მიიჩნევა.

დახურული საჯარო ინფორმაცია:

- სახელმწიფო საიდუმლოება
- პერსონალური მონაცემები
- კომერციული საიდუმლოება
- პროფესიული საიდუმლოება

- აღმასრულებელი პრივილეგიით დაცული მონაცემები.

აქედან გამომდინარე, მოქალაქეებისთვის „ნებისმიერი“ სამთავრობო მონაცემების ხელმისაწვდომობა მკაცრად განსაზღვრულია.

საჯარო ინფორმაციის გამოთხოვის უფლების მატარებელია „ყველა“. საქართველოს ზოგად ადმინისტრაციულ კანონმდებლობით გამოყენებული ეს ტერმინი გულისხმობს როგორც ფიზიკურ, ისე იურიდიულ პირებს. ინფორმაციის მოსაპოვებლად წერილობითი გაანცხადების წარდგენის უფლება აქვს ფიზიკური პირის წარმომადგენელსაც. იურიდიული პირის შემთხვევაში განცხადების წარდგენა ხდება წარმომადგენლის მეშვეობით.

საჯარო ინფორმაციის გამოთხოვა შეუძლია ნებისმიერ პირს ანუ ეს უფლება საყოველთაოა. პირი არ ამტკიცებს თუ რა კანონიერი ინტერესი გააჩნია მოთხოვნილი ინფორმაციისადმი.

საჯარო ინფორმაციის არგაციის შემთხვევაში, პირს უფლება აქვს სასამართლო წესით მოითხოვოს არამხოლოდ საჯარო ინფორმაციის მიღება, არამედ მორალური და მატერიალური ზიანის ანაზღაურება. ამგვარი დავის წარმოების პროცესში მტკიცების ტვირთი ეკისრება მოპასუხე საჯარო დაწესებულებას.

ინფორმაციის თავისუფლების მოთხოვნა ვრცელდება საჯარო დაწესებულებებზე.

საჯარო ინფორმაცია, თუ ის არ განეკუთვნება კანონით დადგენილ საიდუმლო საჯარო ინფორმაციათა ჯგუფს, უპირობოდ ხელმისაწვდომია.

კანონმდებლობის თანახმად, საჯარო ინფორმაცია არის ოფიციალური დოკუმენტი (რომელიც შეიძლება იყოს ადმინისტრაციული აქტის, ნახაზის, მაკეტის, გეგმის, სქემის, ფოტოსურათის, ელექტრონული ინფორმაციის, ვიდეო და აუდიო ჩანაწერის სახით), რომლის მონაცემები საჯარო დაწესებულების ან შესაბამისი მოსამსახურის მიერ მიღებულია, დამუშავებულია, შექმნილია ან გაგზავნილია სამსახურებრივ საქმიანობასთან დაკავშირებით. ასევე, საჯარო დაწესებულების მიერ პრაქტიკულად გამოქვეყნებული ინფორმაცია. ყველა დაინტერესებულ პირს შეუძლია, მოითხოვოს საჯარო ინფორმაცია, მისი ფიზიკური ფორმისა და შენახვის მდგომარეობის მიუხედავად და აირჩიოს მისი მიღების ფორმა, თუ იგი სხვადასხვა სახით არსებობს. დაინტერესებული პირი უფლებამოსილია, გაეცნოს ინფორმაციას დედანში და ასევე მოითხოვოს მისი ასლი.

საჯარო დაწესებულებაში დაცული ინფორმაცია უნდა გაიცეს დაუყოვნებლივ. პრაქტიკაში ხშირია, როცა ინფორმაციის „დაუყოვნებლივ“ გაცემის პროცესი შეიძლება გაგრძელდეს რამდენიმე დღეს. ზოგჯერ ეს დამოკიდებულია საჯარო დაწესებულებაში შესული განცხადებების რაოდენობასა და თითოეული მოთხოვნილი ინფორმაციის მოცულობაზე. ასეთ შემთხვევაში დადგენილია მონაცემთა გაცემის ვადა არა უგვიანეს 10 დღისა. ინფორმაციის გაცემაზე უარი ასევე დაუყოვნებლივ მოითხოვს ამის შესახებ გადაწყვეტილების დაუყოვნებლივ გაცემას.

ეს გადაწყვეტილება გამოცემა წერილობითი ფორმით და შესაბამისად შესაძლებელია მისი გასაჩივრება.

დღეის მდგომარეობით, საჯარო დაწესებულებებს ინტერნეტ სივრცეში საკუთარ ელექტრონულ გვედებზე განთავსებული ინფორმაციული მონაცემების სრული მოცულობა საკმაოდ კარგად არის ასახული, ფორმა და ხარისხი უმჯობესდება.

მთავრობის (საქართველოს სამინისტროების) ონლაინ მომსახურება ხელმისაწვდომია ყველასთვის, ვისაც ხელი მიუწვდება ინტერნეტთან, აგრეთვე ტელეფონის საშუალებითაც.

სამინისტროების ვებ გვერდები აუცილებლად მოიცავენ კონტაქტის საშუალებას, ზოგი გვერდი რამდენიმესაც კი გვთავაზობს.

ხშირ შემთხვევებში, სამინისტროების საიტები ამამწურავ ინფორმაციას აწვდიან კონკრეტულ ცხოვრებისეულ სიტუაციებთან დაკავშირებით, ან გზამკვლევი არსებობს, რომლის საშუალებითსერვისით სარგებლობა ადვილი ხდება. გაუთვალისწინებელ შემთხვევაში, შესაძლებელია ელექტრონულად თვითონ საიტზე წერილობითი კონტაქტის დამყარება ინფორმაციის მისაღებად. კარგად მუშაობს „ცხელი ხაზის“ სისტემა.

ზოგიერთი სამინისტროს საიტი სთავაზობს მოქალაქეებს სხვადასხვა პლატფორმას, რომელიც ერთმანეთთან ურთიერთკავშირშია, აშუქებს ცხოვრებისეულ მოვლენებს თანმიმდევრულ რეჟიმში. ელექტრონული მომსახურება ხელმისაწვდომია ტელეფონების საშუალებითაც, რომლის გამოყენება თანამედროვე პირობებში გამარტივდა.

ელექტრონული სერვისები განსხვავდება ხარისხით და გაშუქებით, მაგრამ ეს იმას არ ნიშნავს, რომ ისინი არაადამაკმაყოფილებელია.

თბილისის საკრებულოს და მერიის საიტებზე კონტაქტი მოქალაქეებთან ონლაინ მომსახურებას არ ითვალისწინებს. ელექტრონული მისამართი და „ცხელი ხაზი“ მითითებულია.

საქართველოში მოსახლეობის ინტერნეტით დაფარვის სერვისისრულოფისო პროცესშია. როგორც ზემოთ აღვნიშნე, ონლაინ სერვისებზე ხელი მიუწვდება მოსახლეობის დიდ ნაწილს, მაშინაც კი თუ მათ პერსონალური კომპიუტერი არ აქვთ. ინტერნეტის არსებობით ტელეფონის გამოყენება აქტუალურიგახდა და საკმაოდ პოპულარულიც. თუმცა პრობლემად რჩება მოსახლეობის ის კატეგორია, რომელსაც საერთოდ ხელი არ მიწვდება ინტერნეტთან და ტელეფონსაც ვერ იყენებს! უკანასკნელ შემთხვევაში, მთავრობას მოსაფიქრებელი აქვს, ციფრული ფორმატის მინიჭება ამ კუთხით რამდენად ემთხვევა მათ ელექტრონულ მომსახურების წვდომას.

➤ შრომის კანონდებლობა და ხელფასის გაცემის წესი:

საქართველოში საჯარო მოსამსახურეებს შრომის ანაზღაურება თანამდებობრივი რანგირების მიხედვით ეძლევათ.

მოხელის თანამდებობა თითო კარიერულ საფეხურს შეესაბამება და შემდეგ იერარქიულ რანგებში ნაწილდება:

- ა) პირველი რანგი–მაღალი მმართველობითი დონე;
- ბ) მეორე რანგი–საშუალო მმართველობითი დონე;
- გ) მესამე რანგი– უფროსი სპეციალისტის დონე;
- დ) მეოთხე რანგი– უმცროსი სპეციალისტის დონე.

პირველი რანგი არის ყველაზე მაღალი იერარქიული, ხოლო მეოთხე რანგი –ყველაზე დაბალი იერარქიული დონეა.

მოხელეს, რომელსაც მიენიჭა მოხელის კლასი, თანამდებობრივი სარგო და შესაბამისი დანამატი ეძლევა.

შესაბამისი რანგი თუ კლასი, მოხელეს შეფასების შედეგებისა და სამსახურის სტაჟის მიხედვით ენიჭება .

აღსანიშნავია, რომ პრეზიდენტის შესაბამისი ბრძანებულებები არსებობს, რომლის მიხედვითაც თანამდებობრივი სარგოს ზედა ზღვარია დაწესებული, ანუ ის მაქსიმუმი რასაც მოხელის ხელფასი არ უნდა აჭარბებდეს. მაგალითად, თბილისის მერის ხელფასი ყოველთვიური ხელფასი 23 540 ლარს არ უნდა აღემატებოდეს, ასევე უმცროსი საჯარო მოხელის თანამდებობრივი სარგო 1200 ლარზე მეტი არ უნდა იყოს და ა.შ.

კანონით გათვალისწინებულია საჯარო მოხელისთვის სახელფასო დანამატი, მოხელეს თანამდებობრივი კლასის შესაბამისად ან ზემდგომი თანამდებობის პირის მითითებით, ზეგანაკვეთური სამუშაოს შესრულებისთვის, ასევე დამატებითი ფუნქციების შესრულებისთვის, მათ შორის ღამის საათებში, დასვენების/უქმე დღეებში ან მძიმე სამუშაოს პირობებში საქმიანობის გამო ეძლევა.

ასევე კანონით გათვალისწინებულია წახალისების ფორმებიც, მაგალითად როგორცაა მაღლობის გამოცხადება, ფასიანი საჩუქარი, ფულადი ჯილდო და სხვა მნიშვნელოვანი ასპექტები რაც საჯარო მოხელის სოციალურ თუ ფინანსურ დაცულობას განაპირობებს.

მოხელე ზეგანაკვეთურ სამუშაოს მხოლოდ ზემდგომი თანამდებობის პირის დავალებით ასრულებს, რისთვისაც მას დანამატი ეძლევა.

„საქართველოს საჯარო სამსახურის შესახებ“ კანონის მიხედვით, მოხელეს უფლება აქვს სამსახურში მიღების დღიდან, სამსახურიდან გათავისუფლების დღემდე შრომითი გასამრჯელო მიიღოს.

მოხელის შრომითი გასამრჯელო მოიცავს ხელფას და დანამატს.

საჯარო მოსახამსახურეთა სახელფასო ფონდის ფორმირების საფუძველია შესაბამისი ორანიზაციის ბიუჯეტი. ბიუჯეტის ასიგნებების შემცირება არ შეიძლება იყოს მოხელის თანამდებობრივი სარგოს შემცირების საფუძველი.

შრომის ანაზღაურება მოხელეს ეძლევა უნაღდო ანგარისწორების ფორმით.

მოხელეთა თანამდებობების თითოეული იერარქიული რანგისთვის მიკუთვნებული თანამდებობრივი სარგო განისაზღვრება სპეციალური კანონით.

თუ კი გადავხედავთ საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახურის ბოლო წლების მონაცემებს, აღმოვაჩინოთ, რომ მნიშვნელოვანი განსხვავება კერძო და სახელმწიფო სექტორში დასაქმებულთა შრომის ანაზღაურებას შორის არ არის. მაგალითად, 2014 წელს საშუალო ხელფასი კერძო სექტორში დასაქმებულთათვის 836,4 ლარს, ხოლო სახელმწიფო სექტორში დასაქმებულთა საშუალო ხელფასი კი 788,5 ლარს შეადგენდა.

აღსანიშნავია, რომ ქვეყანაში დასაქმებულთა საშუალო ხელფასი ნაციონალურ დონეზე 2014 წლისათვის (სამწუხაროდ, 2015–2016 კვლევა ჯერ არ მომხდარა) შეადგენს 818 ლარს, საიდანაც შეიძლება დავასკვნათ, რომ საჯარო მოხელის შრომის საშუალო ანაზღაურება, კერძო სექტორში დასაქმებულთა ხელფასს მცირედით ჩამორჩება, თუმცა საარსებო მინიმუმზე მნიშვნელოვნად მაღალია, რომელიც 230 ლარია.

აქვე გვინდა ყურადღება გავამახვილოთ რამოდენიმე ფაქტორზე:

- კერძო სექტორში დასაქმებულთა ანაზღაურება არ არის ერთგვაროვანი, იგი განსხვავდება სამუშაოს ხასიათის, დატვირთულობის მიხედვით. ამგვარად, კერძო სექტორის ზოგიერთი დარგის მოსამსახურეთა ხელფასი ზოგჯერ აჭარბებს ან გაცილებით მცირეა სახელმწიფო სექტორში დასაქმებულთა ხელფაზე.
- აგრეთვე სახელმწიფო სამსახურში დასაქმებულ მოხელეთა ანაზღაურებაც განსხვავდება. მაგალითად, სამინისტროში დასაქმებულთა და ადგილობრივი თვითმმართველობის მოხელეთა ხელფასი განხვავებულია (სამინისტროში უფრო მაღალია, ვიდრე ადგილობრივ თვითმმართველობის ორგანოებში) ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოებში დასაქმებულთა ანაზღაურებაც განსხვავებულია. მაგალითად, თბილისის თვითმმართველობის ორგანოებში დასაქმებულთა შრომის ანაზღაურება გაცილებით მაღალია. ეს გამოწვეულია იმით, რომ თბილისის ბიუჯეტი სხვა ქალაქებთან შედარებით გაცილებით დიდია.

ამრიგად, შეიძლება დავასკვნათ, რომ სახელმწიფო სამსახურში მუშაობა არც თუ ისე მაღალ ანაზღაურებადია, დაბალკონკურენტანია. თუმცა სახელმწიფო სამსახურში დასაქმება მაინც პრესტიჟულია, რადგანაც კერძო სექტორისგან განსხვავებით, სტაბილური შემოსავლის წყაროა.

➤ ინტერესთა კონფლიქტი

კანონი ინტერესთა შეთავსებისა და კორუფციის შესახებ 1998 წლის იანვრიდან შევიდა ძალაში და ამხნის მანძილზე უამრავი ცვლილება განიცადა. მნიშვნელოვანი შესწორებები პარლამენტმა 2015 წელს მიიღო რომლის დიდი ნაწილიც 2017 წლის იანვრიდან ამოქმედდება.

კანონები რომლითაც ახლა ხელმძღვანელობენ, საკმაო დონის შემაკავებელ ძალას ფლობს, რადგანაც ინტერესთა შეუთავსებლობის გამო, დაუსაბუთებელი ქონების შემთხვევაში დანიშნულ თანამდებობის პირს თანამდებობიდან გათავისუფლებას ავალდებულებს, უკრძალავს საჯარო მოხელეს სამეწარმეო, საზედამხედველო საქმიანობას. თუმცა, კანონს ბუნდოვანი შემაკავებელი ძალა აქვს, როდესაც იგი საჯარო მოხელის რანგში იროვნებისა ან მისი ოჯახის წევრებისათვის გადაცემულ საჩუქრებს შეეხება. ამჟამინდელი კანონი მისი სხვადასხვაგვარი გაგების საშუალებასაც იძლევა. ინტერესთა კონფლიქტის წინააღმდეგ მიღებული კანონების ახალი რედაქციის მიხედვით, მოხელეს აკრძალება, საჯარო სამსახურიდან გათავისუფლების შემდეგ იმ საწარმოში მუშაობა, რომელსაც ზედამხედველობდა. კანონის ახალ რედაქციაში, კანონის ძირითად ფუნქციებს (ინტერესთა შეთავსებას, კორუფციის თავიდან აცილებას, კორუფციული სამართალდარღვევის ჩამდენ პირთა პასუხისმგებლობისა და ქონებრივი დეკლარაციების წარდგენის საკითხს 2017 წლიდან, დეკლარაციების მონიტორინგის პირობებისა და მექანიზმის საკითხები და აგრეთვე მამხილებელთა დაცვის, ეთიკისა და ქცევი ზოგადი წესების ძირითად საფუძვლებიც დაემატება.

ძველი კანონის მიხედვით, „ინტერესთა შეუთავსებლობა საჯარო სამსახურში აღიარებულია როგორც არის საჯარო მოსამსახური სქონებრივი ან სხვა პირადი ინტერესების დაპირისპირება სახელმწიფო სამსახურის ინტერესებთან.

ახლის (2017 წლის) მიხედვით კი, „საჯარო დაწესებულებაში ინტერესთა შეუთავსებლობა“ არის საჯარო მოსამსახურის ქონებრივი ან სხვა პირადი ინტერესის დაპირისპირება საჯარო დაწესებულების ინტერესებთან.

4. მთავრობის ეფექტურობა:

➤ საქართველოს ბიუჯეტი

საქართველოს სახელმწიფო ბიუჯეტი არის საქართველოს პარლამენტის მიერ დამტკიცებული, საქართველოს ცენტრალური ხელისუფლების ფუნქციებისა და ვალდებულებების შესრულების მიზნით მისაღები შემოსულობების, გასაწევი გადასახდელებისა და ნაშთის ცვლილების ერთობლიობა;

სახელმწიფო ბიუჯეტის შედგენისას მნიშვნელოვანია პროცესის გამჭვირვალობა, რომლის დროსაც მთავრობა და მხარჯავი დაწესებულებები აღწევენ ერთგვარ შეთანხმებას სახელმწიფო რესურსების განაწილებაზე სტრატეგიული

პრიორიტეტების მიხედვით. საბიუჯეტო პროცესის დახვეწისა და ფორმულირების გაუმჯობესების ეტაპზე მნიშვნელოვანია აღნიშნული პროცესი მოექცეს დადგენილ ფისკალურ ჩარჩოში და მოხდეს რესურსების ეფექტური განაწილება სტრატეგიული პრიორიტეტების მიხედვით, რათა მიაღწეულ იქნეს დასახული მიზნები.

მნიშვნელოვანია სახელმწიფოში არსებობდეს სახელმწიფო ფინანსების მართვის სტრატეგია, სწორი ფისკალური პოლიტიკა და გამართული საბიუჯეტო სისტემა. აღნიშნულს არეგულირებს საქართველოს კანონმდებლობა, კერძოდ საქართველოს საბიუჯეტო კოდექსი, რომელიც განსაზღვრავს საქართველოს საბიუჯეტო სისტემას, საბიუჯეტო პროცესს, მის ძირითად პრინციპებს, მასში მონაწილე მხარეებსა და ძირითად ეტაპებს.

ბევრი თვლის რომ სახელმწიფო ფინანსების მართვა (PFM) არის მხოლოდ თანხების განაწილების, ხარჯვის და აღრიცხვის პროცესი. რეალობაში საჯარო ფინანსების მართვა შეიძლება განვიხილოთ არა როგორც პროცესი, არამედ როგორც ურთიერთდაკავშირებული პროცესების ერთიანი სისტემა.

1. პრიორიტეტების და სტრატეგიების განსაზღვრა - გამართული, სტრატეგიებზე დამყარებული საბიუჯეტო პროცესი, რომელშიც მთავარი უწყებები - მთავრობა და ფინანსთა სამინისტრო მკაცრად განსაზღვრავენ მაკროეკონომიკურ ჩარჩოს, რესურსებს და პოლიტიკას, ხოლო დარგობრივი სამინისტროები ითვალისწინებენ მათთვის განსაზღვრულ მონაცემებს შემდეგი სტრატეგიული დაგეგმარებისას.

2. ბიუჯეტის მომზადების პროცესი უზრუნველყოფს მოცემულ ჩარჩოებში სტრატეგიული გეგმების ასახვას რეალური თანხების განაწილებაზე.

3. რესურსების მართვის პროცესები უზრუნველყოფენ ბიუჯეტით განსაზღვრული ღონისძიებების ეფექტურად შესრულებისათვის საჭირო თანხების, შესაძენი ინვენტარის, კაპიტალისა და კადრების მზადყოფნას.

4. შიდა კონტროლი და მონიტორინგი - არსებობს შიდა მართვის მექანიზმები, რომლებიც უზრუნველყოფენ, რომ პასუხისმგებელი და გადაწყვეტილების მიმღები პირები მუდმივად იყვნენ ინფორმირებულნი ბიუჯეტის შესრულების მდგომარეობისა და არსებული პრობლემის შესახებ.

5. აღრიცხვა-ანგარიშგების სისტემები უზრუნველყოფენ საბიუჯეტო პროცესის სრულ გამჭვირვალობას, ანუ იმ ინფორმაციის არსებობას, რომელიც ცხადად წარმოადგენს თუ სად, როგორ და როდის იხარჯება სახელმწიფო ფული. ამავდროულად აძლიერებს ამ პროცესში ჩართულ პირთა პასუხისმგებლობას.

6. გარე კონტროლი და აუდიტი - გარე აუდიტი ამოწმებს ხარჯების შესაბამისობას, ფინანსური შეფასების უტყუარობას და ბიუჯეტის შესრულების არსებულ მდგომარეობას. ამით უზრუნველყოფს მომავალში დაგეგმვისა და სტრატეგიების განსაზღვრისადმი მეტი პასუხისმგებლობით მიდგომას.

ეს პროცესები საბოლოოდ იკვრება ერთ მთლიან შეთანხმებულ სისტემად, რომელიც წარმოადგენს სახელმწიფო ფინანსების მართვას. ამ სისტემის ეფექტურობა

მჭიდროდაა დამოკიდებული ექსპივე პროცესის როგორც ცალ-ცალკე, ისე ერთდროულად ფუნქციონირებაზე (პროცესებს შორის ურთიერთკავშირი სქემაზეა ასახული ისრებით, რომლებიც აჩვენებენ თუ ეს პროცესები ერთ მთლიან შეთანხმებულ სისტემად საბოლოოდ როგორ იკვრება). იმ შემთხვევაშიც კი, თუ ყველას ეს პროცესი ეფექტურად მუშაობს, მაგრამ მათი ფუნქციონირება არ არის ერთმანეთთან შეთანხმებული, აქვთ დროის სხვადასხვა ვადები, განსხვავებული კრიტიკული მომენტები, ან სხვა შეუთანხმებლობა, მაშინ არ არსებობს იმის გარანტია, რომ საჯარო ფინანსების მართვის (PFM) სისტემა ეფექტურ შედეგს გამოიღებს.

ერთ-ერთი საინტერესო რეფორმა, რომელიც კონცენტრირებულია სწორედ პროცესების ურთიერთკავშირის საშუალებით ერთიანი სისტემის ჩამოყალიბებაზე, არის ხარჯების საშუალოვადიანი დაგეგმვა (MTEF).

წლიური ბიუჯეტის პროექტის მომზადების პროცესი იწყება ქვეყნის ძირითადი მონაცემების და მიმართულებების დოკუმენტზე (BDD) მუშაობით. ქვეყნის ძირითადი მონაცემების და მიმართულებების დოკუმენტი (BDD) არის ქვეყნის განვითარების ძირითადი გეგმა, რომელიც ასახავს ინფორმაციას საშუალოვადიანი მაკროეკონომიკური და ფისკალური პროგნოზების შესახებ, ასევე ინფორმაციას საქართველოს ცენტრალური, ავტონომიური რესპუბლიკებისა და ადგილობრივი ხელისუფლებების განვითარების ძირითადი მიმართულებების შესახებ. დოკუმენტის მოიცავს 4 წლიან პერიოდს და ყოველწლიურად განახლებადი დოკუმენტია. BDD დოკუმენტის მომზადებით იწყება ყოველწლიური ბიუჯეტის მომზადება. საქართველოს საბიუჯეტო კოდექსით განისაზღვრება ქვეყნის ძირითადი მონაცემების და მიმართულებების დოკუმენტის შემუშავების ეტაპები, რა ინფორმაციას უნდა მოიცავდეს იგი და რა ვადებში ხდება საქართველოს მთავრობისა და პარლამენტისათვის მისი პირველადი, გადამუშავებული და საბოლოო ვარიანტების წარდგენა. საქართველოს მთავრობა იწონებს ქვეყნის ძირითადი მონაცემებისა და მიმართულებების დოკუმენტის პირველად ვარიანტს დასაგეგმი საბიუჯეტო წლისა და +3 წლისათვის.

სახელმწიფო ბიუჯეტის პროექტის მომზადების მიზნით, სამინისტროები აყალიბებენ მათ პრიორიტეტებს; მთავრობა პრიორიტეტებს და საბიუჯეტო პარამეტრებს უთანხმებს პარლამენტს; პარლამენტის შენიშვნების და წინადადებების გათვალისწინებით სამინისტროები ამტკიცებენ საშუალოვადიან პრიორიტეტებს და მათ განსახორციელებელ სტრატეგიებს; სამინისტროების პრიორიტეტების საფუძველზე მზადდება BDD დოკუმენტი, სადაც ასევე ასახულია მხარჯავი დაწესებულებების პროგრამების დაფინანსების სავარაუდო მოცულობები და სამინისტროების საბიუჯეტო ჭირები; BDD დოკუმენტის გათვალისწინებით სამინისტროები ავსებენ საბიუჯეტო განაცხადებს; საბიუჯეტო განაცხადების საფუძველზე ფინანსთა სამინისტრო ამზადებს სახელმწიფო ბიუჯეტის პროექტს; საქართველოს მთავრობა წარუდგენს ბიუჯეტის პროექტს საქართველოს პარლამენტს, რომელიც განხილვების შემდგომ ამტკიცების წლიური ბიუჯეტის შესახებ კანონს.

სახელმწიფო აუდიტის სამსახური

2012 წლის 1 ივლისიდან ქვეყნის უმაღლესი აუდიტორული ორგანო სახელმწიფო აუდიტის სამსახურის სახით ჩამოყალიბდა.

სახელმწიფო აუდიტის სამსახური არის უმაღლესი აუდიტორული ორგანო, რომელიც ახორციელებს აუდიტს. სახელმწიფო აუდიტის სამსახურის მიზნებია, ხელი შეუწყოს სახელმწიფო სახრების, სახელმწიფოს სხვა მატერიალური ფასეულობების ხარჯვისა და გამოყენების კანონიერების, მიზნობრიობის დაცვას და ეფექტიანობას, ეროვნული სიმდიდრის, სახელმწიფო ავტონომიური რესპუბლიკებისა და ადგილობრივი თვითმმართველი ერთეულების საკუთრების დაცვას, ასევე საჯარო ფინანსების მართვის გაუმჯობესებას.

უწყების ინსტიტუციური გარდაქმნა დაიწყო 2008 წლიდან, როდესაც ახალი კანონმდებლობითა და მეთოდოლოგიით, სახელმწიფო აუდიტის სამსახურის მანდატი განისაზღვრა როგორც საჯარო სექტორის აუდიტი, რომლის განხორციელების შემდეგ გაიცემა რეკომენდაციები და გაუმჯობესდება საჯარო ფინანსების მართვის ხელშეწყობა.

2008-2009 წლებში სახელმწიფო აუდიტის სამსახურში ჩამოყალიბდა განვითარების ძირითადი სტრატეგიული მიმართულებები. შესაძლებლობების მრავალმხრივი სრულყოფის მიზნით, აღნიშნულ პერიოდში შემუშავდა გრძელვადიანი კორპორაციული სტრატეგიები და განვითარების გეგმები. 2010 წლიდან დაიწყო დასახული ამოცანების განხორციელება .

სახელმწიფო აუდიტის სამსახური ახორციელებს მოქალაქეთა პოლიტიკური გაერთიანებების ფინანსური საქმიანობის მონიტორინგს საქართველოს ორგანული კანონით „საქართველოს საარჩევნო კოდექსით“ და „მოქალაქეთა პოლიტიკური გაერთიანებების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონით დადგენილი კომპეტენციის ფარგლებში.

სახელმწიფო აუდიტის სამსახური თავის საქმიანობაში დამოუკიდებელია და ემორჩილება მხოლოდ კანონს. დაუშვებელია მის საქმიანობაში ჩარევა ან /და მისი საქმიანობის კონტროლი, ამ საქმიანობასთან დაკავშირებით ანგარიშის მოთხოვნა, თუ ეს პირდაპირ არ არის გათვალისწინებული კანონით. აკრძალულია სახელმწიფო აუდიტის სამსახურზე ყოველგვარი პოლიტიკური ზეწოლა, აგრეთვე ნებისმიერი სხვა ქმედება, რომელმაც შეიძლება ხელყოს მისი დამოუკიდებლობა.

სახელმწიფო აუდიტის სამსახურს ხელმძღვანელობს გენერალური აუდიტორი

გენერალურ აუდიტორს საქართველოს პარლამენტის თავმჯდომარის წარდგინებით, 5 წლის ვადით, სიითი შემადგენლობის უმრავლესობით ირჩევს საქართველოს პარლამენტი.

სახელმწიფო აუდიტის სამსახური უწყებრივად, ფინანსურად, ფუნქციონალურად და ორგანიზაციულად დამოუკიდებელია.

➤ მსოფლიო ბანკის მონაცემები

მსოფლიო ბანკის მონაცემებით, საქართველო 2002 წელს მთავრობის ეფექტურობის მაჩვენებელი იყო ძალიან დაბალი, დაახლოებით – 19,5%.

2014 წლისთვის კი ქვეყანის მთავრობის ეს მაჩვენებელი საგრძნობლად გააუმჯობესა და მიაღწია 71,6%. ამ მონაცემებით საქართველო რეგიონში ლიდერი გახდა, ხოლო მსოფლიო მაშტაბით 210 ქვეყანას შორის მე–60 ადგილს იკავებს .

ასევე, საქართველომ მოახერხა პირველი ადგილის დაკავება, როგორც მოკლე დროში სწრაფად განვითარებადმა ქვეყანამ.

აღსანიშნავია, რომ საქართველო რეგიონში 43,8% –ით მთავრობის ეფექტურობის პროგრესის მიღწევით პირველია და ასევე მრავალ ევროპულ ქვეყანას უსწრებს, როგორცაა იტალია, საბერძნეთი, სერბეთი, რუმინეთი, ბულგარეთი და მაკედონია.

რაც იმას ნიშნავს, რომ ხარისხი მოქალაქეთა მომსახუროების გაუმჯობესებულია და რომ საჯარო სუბიექტები პოლიტიკური ზეწოლისაგან გაცილებით თავისუფალია .

5. კორუფციის კონტროლი:

საქართველოს პირველი ეროვნული ანტიკორუფციული სტრატეგია და სამოქმედო გეგმა 2005 წელს დამტკიცდა. შემდგომ, საქართველოს პრეზიდენტის 2010 წლის 3 ივნისის ბრძანებულებით ახალი ანტიკორუფციული სტრატეგია დამტკიცდა და ხოლო 2010 წლის 14 სექტემბერს ძალაში შევიდა ანტიკორუფციული სტრატეგიის განხორციელების 2010-2013 წლების სამოქმედო გეგმა.

ახალ გამოწვევებთან ბრძოლის, ასევე მიღწეული შედეგების გაღრმავების, არსებული მექანიზმების შემდგომი დახვეწისა და კორუფციის წინააღმდეგ ბრძოლის მასშტაბების გაფართოების მიზნით, 2013 წელს ანტიკორუფციულმა საბჭომ მიიღო გადაწყვეტილება საქართველოს ეროვნული ანტიკორუფციული სტრატეგიის განახლებისა და ახალი სამოქმედო გეგმის შემუშავების შესახებ.

სამუშაო პროცესი წარიმართა ექსპერტთა დონის სამუშაო ჯგუფისა და ცხრა თემატური სამუშაო ჯგუფის ფარგლებში **კორუფციის წინააღმდეგ ბრძოლის შემდეგ 13 სტრატეგიულ პრიორიტეტზე** დაყრდნობით:

1. კორუფციის პრევენციის მიზნით ეფექტიანი უწყებათაშორისი კოორდინაცია
2. საჯარო სამსახურში კორუფციის პრევენცია
3. ღიაობა, საჯარო ინფორმაციის ხელმისაწვდომობა და მოქალაქეთა ჩართულობა კორუფციის წინააღმდეგ ბრძოლაში
4. განათლება და საზოგადოებრივი ცნობიერების ამაღლება კორუფციის პრევენციის მიზნით
5. კორუფციის პრევენცია სამართალდამცავ ორგანოებში
6. კორუფციის პრევენცია მართლმსაჯულების სისტემაში
7. გამჭვირვალობის უზრუნველყოფა და კორუფციული რისკების შემცირება საჯარო ფინანსების და სახელმწიფო შესყიდვების სფეროში
8. კორუფციის პრევენცია საბაჟო და საგადასახადო სისტემაში
9. კორუფციის პრევენცია კერძო სექტორთან მიმართებით
10. კორუფციის პრევენცია ჯანდაცვისა და სოციალურ სექტორში
11. პოლიტიკური კორუფციის პრევენცია
12. კორუფციის პრევენცია თავდაცვის სექტორში
13. კორუფციული რისკების შემცირება მარეგულირებელ ორგანოებში

ანტიკორუფციული დოკუმენტების მომზადების პროცესში სამოქალაქო სექტორის აქტიური ჩართულობის უზრუნველყოფის მიზნით, თითოეული თემატური სამუშაო ჯგუფის მომხსენებლად განისაზღვრა როგორც სამთავრობო, ისე სამოქალაქო სექტორის წარმომადგენელი.

საჯარო, არასამთავრობო, საერთაშორისო და ბიზნეს სექტორის წარმომადგენლების აქტიური მონაწილეობით გამართული ინტენსიური სამუშაო პროცესი მოიცავდა თემატური სამუშაო ჯგუფების 17 შეხვედრას, ექსპერტთა სამუშაო ჯგუფის 7 შეხვედრას და ანტიკორუფციული საბჭოს ორ სხდომას.

შედეგები:

კარგი მმართველობის სტატუსი/პროგრესი კარგი მმართველობის საბოლოო პრონციპების იმპლიმენტაციაში

„კარგი მმართველობის“ შესახებ ჩვენი ჯგუფის წევრებმა არსებული კანონების ანალიზი მოახდინეს და შეეცადნენ საქართველოს კარგი მმართველობის ინდიკატორები, ხელთ არსებული საშუალებებით შეეფასებინათ. საკანონმდებლო ბაზაზე და სხვადასხვა სამსახურების კვლევების მონაცემებზე დაყრდნობით დაწერილი ეს ანგარიში, ჩვენს სუბიექტური შეფასებებსაც ემყარება, ამიტომაც მაჩვენებლების აღმნიშვნელი რიცხვები სიმბოლურად ფრჩხილებში მოვათავსეთ.

ჩიმაკაძის შეფასებით, Is there a process of consulting public and interest groups when a new law Is prepared? ახალი კანონის მომზადებისას, საჯარო და საერთო ინტერესების მქონე ჯგუფებში უმეტეს საკითხებზე კონსულტაციები ხდება, თუმცა ფორმალურ ხასიათს ატარებს. (2)

შეკითხვა: Do Important Government proposals need pass Regulation Impact Assessment (RIA) or any other comprehensive ex ante evaluation before they are put forward? ჩიმაკაძის აზრით, მნიშვნელოვანი სახელისუფლებო საკანონმდებლო წინადადებები წამოყენების წინ რეგულირების გავლენის შემფასებლის (RIA)-ს და სხვა ავტორიტეტული ორგანიზაციების ყოვლისმომცველ შეფასებას საჭიროებენ.

საკითხი: Government ability to pass the key legislation through parliament, ჯგუფის წევრმა (6) ქულით შეაფასა. ამ შეფასების მიხედვით, პარლამენტს აქვს უნარი ყველა წამოყენებული მნიშვნელოვანი კანონმდებლობა მიიღოს.

შეკითხვაზე: Is there a civil service law or a binding code of conduct setting out conditions and requirements for civil service employment and competences of individual levels of the bureaucratic hierarchy? ჯგუფის წევრმა დადებითად უპასუხა. მისი აზრით, საქართველოში არის კანონმდებლობა რომელიც აწესრიგებს საჯარო სამსახურში დასაქმებულთა პირობებს და ბიოროკრატიული შემთხვევების თავიდან აცილებასაც ითვალისწინებს.

1. კითხვაზე: Does the civil service law include provisions forbidding political nominations of civil servants? ჯგუფის წევრის მიერ დადებითად შეფასდა. მან განაცხადა, რომ არსებობს კანონმდებლობა რომელიც ხელს უშლის პოლიტიკოსის მიერ საკუთარი პოლიტიკური კანდიდატების სახით მეგობრების დანიშვნას და სამოქალაქო სამსახურის ობიექტურობასაც.

2. შეკითხვაზე: How would you asses the recruitment criteria in the civil service in terms of professionalism and expertise? ჯგუფის წევრმა (4)-ით შეაფასა, რომლის მიხედვითაც სამოქალაქო სამსახურში დაქირავების კრიტერიუმები ფასდება ფორმალიზებულად, მხოლოდ იმისათვის რომ შემოწმდეს განმცხადებლის შესაძლებლობები და მუშაობის სასურველი სფეროები.

ორინე კასრაძემ შეფასება არ გაუკეთებია. ინდიკატორებში, Transparency and use of e-Governance tools (Usability of data – in what form does the government share its data?) ინფორმაციის გამჭვირვალობის უფლება დაცულია კანონით და ადვილად გასაგები და ხელმისაწვდომია ყველასათვის. ელექტრონული მომსახურება ცხოვრების უმეტეს შემთხვევებში ხელმისაწვდომია

Availability of government online services in various life events/ მთავრობის ონლაინ მომსახურება, ხელმისაწვდომობა/

ჯგუფის წევრი წერს, რომ დღეის მდგომარეობით, საჯარო დაწესებულებებს ინტერნეტ სივრცეში საკუთარ ელექტრონულ გვედებზე განთავსებული ინფორმაციული მონაცემების სრული მოცულობა საკმაოდ კარგად არის ასახული, ფორმა და ხარისხი უმჯობესდება. ელექტრონული სერვისები განსხვავდება

ხარისხით და გაშუქებით, მაგრამ ეს იმას არ ნიშნავს, რომ ისინი არადადამაკმაყოფილებელია.

Use of government e-services by citizens: What share of the population has access and capacity to work with the government online services/*მთავრობის ელექტრონული სერვისების გამოყენება მოქალაქების მიერ: მოსახლეობის რა ნაწილს აქვს წვდომა და შესაძლებლობა მთავრობის ონლაინ მომსახურებასთან სამუშაოდ/*

კასრადის აზრით, საქართველოში პრობლემად მოსახლეობის ის კატეგორია რჩება, რომელსაც საერთოდ ხელი არ მიწვდება ინტერნეტთან და ტელეფონსაც ვერ იყენებს! უკანასკნელ შემთხვევაში, მთავრობას მოსაფიქრებელი აქვს, ციფრული ფორმატის მინიჭება ამკუთხით რამდენად ემთხვევა მათ ელექტრონულ მომსახურების წვდომას.

Does the audit office publish reports evaluating governmental policies? ამ მაჩვენებელსა ჩარგაზია (6) ქულით აფასებს, რადგანაც საქართველოში არის კანონების კრებული, რომელიც მიჯნავს თანამადებობის პირთა ინდივიდუალურ უფლებამოსილებებს, მოვალეობებს პოლიტიკოსთა და მოქალაქეთა ურთიერთობებს.

შეკითხვას Durability of government policies-How frequent are major changes and major amendments once certain policy is signed into a law? ჯგუფის წევრი(2)-ით აფასებს. ჩარგაზიას აზრით, ხდება შემთხვევები, როდესაც, ქვეყანაში მნიშვნელოვანი ცვლილებების შემდეგ გაკვეული პოლიტიკური კურსი კანონად იქცევა.

Is the implementation of government policies monitored and evaluated by an independent body (audit office)? What are its competences?(4) ქულითაა შეფასებული. მისი აზრით, აუდიტის ოფისი ფართო კომპეტენციის მქონე დამოუკიდებელი დაწესებულებაა, რომელიც სახელისუფლებო ზეგავლენას გამორიცხავს.

Salaries in the civil service as compared to private sector and average pay (4) ქულა აქვს, რომლის მიხედვითაც 15%-მდე მოხელისათვის ფინანსური მოტივაციის ელემენტი შრომის ნაყოფიერებაზე გავლენას ახდენს.

The share of cashless payments on the total number of financial transactions(4)ქულა აქვს. სადაც ნათქვამია, რომ უნაღდო გადახდების წილი ქვეყანაში გადახდების 80% შეადგენს.

How big is the overlap between the agenda of NGOs and government policies? ეს საკითხი (2) ქულით შეფასდა,რაც მთავრობისა და არასამთავრობოთა პოლიტიკის 1/2-იან თანხვედრას ნიშნავს.

საკითხი Scrutiny of government ability to implement and enforce regulation (4) ქულა აქვს WGI-ის მიხედვით საქართველოს მთავრობის ეფექტურობის მაჩვენებელი 60-80 შეფასებული.

Cost collection ratio for tax collection (costs/revenues) ჩარგაზიამ (5) ქულით შეაფასა.რაც იმას ნიშნავს, რომ საქართველოში საგადასახადო შეკრების ღირებულების თანაფარდობა (ხარჯები და შემოსავლები) 1 % შეადგენს

თამარ ფეიქრიშვილი: OECD საქართველოს საინვესტიციო პირობებში ცვლილებების რისკს 6-ით აფასებს (2010-2015 წლების მონაცემები) რომლებიც წლეულსაც არ შეცვლილა, რაც ორგანიზაციის საფრთხეების 8 ერთეულით აღნიშნულ მაჩვენებლებში საკმაოდ მაღალს წარმოადგენს. მიზეზი სხვა მრავალთან ერთად მცირე და საშუალო საწარმოების დაბალი განვითარება, საწარმოების ფინანსური დამოუკიდებლობის არარსებობა დასახელდა.

ფეიქრიშვილმა Conflict of Interest(2) ქულით შეაფასა. მიზეზი ამ დროისათვის მოქმედი კანონმდებლობის დაუხვეწაობაა, რომელის სრულყოფილი ვარიანტი 2015 წელს მიიღო პარლამენტმა და 2017 წლის იანვრიდან შედის ძალაში. რაც შეეხება საკონონის სააღსრულებო ძალას, კანონი ფლობდა ამ ძალას, რაც ინტერესთა კონფლიქტის შემთხვევაში პირის თანამდებობიდან გათავისუფლებასა და რიგ შემთხვევებში სისხლის სამართლის პასუხისმგებლობასაც გულისხმობს.

ეს შეფასებები საქართველოზე, მისი სახელმწიფო ინტიტუტების განვითარების, პოლიტიკური და ეკონომიკური მდგომარეობის გათვალისწინებით მაფიქრებინებს, რომ ჩვენი ქვეყანა არის დემოკრატიული განვითარების შუა ეტაპზე, რომელიც მოცემულ შეფასების სისტემაში გათვალისწინებული არაა. საქართველოს ვერც დემოკრატიული ინსტიტუტების ადრეულ ეტაპზე მყოფ სახელმწიფოსმივაკუთნებდი და ვერც --მოწინავეს. საქართველოს სწრაფ პროგრესს, როგორც ჩვენი რეგიონის სხვა ქვეყნებისა პოლიტიკური არასტაბილურობა ხელს უშლის.

რეკომენდაციები:

კვლევის შედეგად, ჯგუფის წევრების მიერ შემდეგი რეკომენდაციები გამოითქვა:

- გადაწყვეტილების მიღების პროცესში სახელისუფლებო, ასევე რეგიონალურ და ადგილობრივ დონეზე დაინტერესებული მხარეების მეტი ჩართულობის უზრუნველყოფა, რომელიც რაც თქმა უნდა ფორმალურ ხასიათს არ უნდა ატარებდეს.
- კანონპროექტის წარდგენამდე დაინტერესებულ პირებთან მუშაობა და მათი აზრის გათვალისწინება.
- ელექტრონული მმართველობის კიდევ უფრო განვითარება, საჯარო ინფორმაციის ვებგვერდებზე დროულად განთავსება, რათა

დაინტერესებულმა მხარეებმა დროულად გააანალიზონ და თავიანთი შეხედულებები გამოთქვან, რათა მათი აზრიც იყოს გათვალისწინებული.

- კანონის მნიშვნელოვანი დამატებაში, რომელიც 2017 წლიდან შევა ძალაში მეათე პუნქტში, „განთავისუფლებულ საჯარო მოსამსახურეს უფლება არა აქვს, განთავისუფლების დღიდან 1 წლის განმავლობაში მუშაობა დაიწყოს იმ საჯარო დაწესებულებაში ან საქმიანობას ახორციელებდეს იმ საწარმოში, რომელსაც იგი ბოლო 3 წლის განმავლობაში სამსახურებრივად სისტემატურად ზედამხედველობდა. ამ ხნის განმავლობაში მას აგრეთვე უფლება არა აქვს, ასეთი საჯარო დაწესებულებიდან ან საწარმოდან შემოსავალი მიიღოს. ხსენებული ვადა, სამწლამდე უნდა იყოს გაზრდილი.
- კარგი იქნება, თუ ხელისუფლების მაღალი თანამდებობის პირების სწრაფი ცვლა, ხშირად არ მოხდება და კადრებს პროფესიონალიზმის გათვალისწინებით გაცილებით ყურადღებით შეარჩევენ.
- საჯარო მოხელეებისთვის ხელფასის გონივრული მომატება, რითაც კვალიფიციური სპეციალისტების მოზიდვის შესაძლებლობას გაზრდის.
- ჩვენი აზრით, მნიშვნელოვანია ქვეყანაში, ანტიმონოპოლიური კანონმდებლობის დახვეწა. ანკორუფციული და ანტიმონოპოლიური სამსახურების არსებობა ეკონომიკის განვითარებას ჯანსაღ კონკურენციას, მცირე და საშუალო ბიზნესის განვითარებას ხელს შეუწყობს.

ვიმედოვნებთ, რომ ჩვენს რეკომენდაციებზე სახელისუფლებო ორგანოები ყურადღებას გაამახვილებენ და გაითვალისწინებენ.

ბიბლიოგრაფია:

1. <http://parliament.ge/ge/search/index/?s=reglamenti>
2. <http://www.justice.gov.ge/News/Detail?newsId=4901>
3. <http://www.csb.gov.ge/>
4. http://gov.ge/index.php?lang_id=GEO&sec_id=27
5. <http://www.economy.ge/>
6. <http://www.mof.ge/4542>
7. <https://matsne.gov.ge/ka/document/view/3031098>
8. <http://www.transparency.ge/fuzzysearch/results/reports>
9. <http://www.idfi.ge/ge/survey>

